layer. However, the emphysema resolved already during endoscopic examination.

Clinical experience with the use of argon in surgery indicates that the use of plasma coagulation is especially effective for bleeding from malformations of the gastrointestinal tract vessels. However, argon plasma coagulation is increasingly used in the treatment of bleeding in Mallory-Weiss syndrome, from varicose veins, as well as bleeding of ulcerative etiology. Using argon plasma coagulation, it is possible to stop bleeding from vessels with a diameter of up to 2 mm.

1. Bryusov P.G., Kudryavtsev B.P. Plasma surgery. M. - 1995. - 118 p.

Pletnev S.D., Karpenko O.M., Semenov O.G. Prospects for the use of gas lasers in surgery // Surgery. 1983. - N.3. - P. 19 - 21.

2. Jaiani S., Tsutskiridze B., Kheladze Z., Kheladze Zv. Aspects of application of plasma streams in treatment of the explosive wounds of finiteness // Critical Care and Catastrophe Medicine. - 2007. - 45-49.

3. Kheladze Zv., Jaiani S., Tsutskiridze B., Kheladze Z. The experience of the using plasma radiations at treatment of the pulmonary breaches

beside sick with critical conditions // Critical Care and Catastrophe Medicine. - 2007. - 76-83.

4. Lobakov A.I., Shumsky V.I., Zakharov Yu.I. Application of laser and plasma technologies in abdominal surgery. Almanac of Clinical Medicine. - 2007. - No. 16. - pp.105-109.

5. Nechai A.I., Jaiani S.V., Features of healing of wounds of the stomach, intestines and liver under the influence of a plasma scalpel. // Bulletin of Surgery. - 1989. - No. 10. - pp. 7-12.

6. Petrov D.Yu. The effectiveness of argon plasma coagulation in ulcerative gastroduodenal bleeding. Abstract of dissertation. Ph.D. - Moscow, 2009. - 23 p.

7. Semenov G.M. Modern surgical instruments. St. Petersburg: Peter, 2006. - 352 p.

8. Fedorov E.D., Yudin O.I., Petrov D.Yu., Stepnov M.V., Ivanova E.V. Endoscopic argon plasma coagulation in the treatment of ulcerative gastroduodenal bleeding // Russian Journal of Gastroenterology, Hepatology, Coloproctology. - No. 6. - 2008. - pp. 33-37.

9. Tsutskiridze B.N. The use of plasma flows for combat injuries of the extremities: Dis. ... art. doc. honey. - Tbilisi, 2007. - 161 p.

10. Shanavazov K. A. Argon plasma technology in the surgical treatment of obliterating diseases of the arteries of the lower extremities in the stage of purulent-necrotic lesions: Dissertation ... candidate of medical sciences. - Moscow, 2014. - 148 p.

11. Shulutko A.M., Osmanov E.G. Argon plasma flow in the complex treatment of various forms of erysipelas // Surgery. - 2006. - No. 3. - pp. 59-62.

12. Yushkin A.S., Kalashnikov S.A., Kolts A.V. Radiosurgery in outpatient practice // In the book: Current problem of outpatient surgery. - St. Petersburg - 1999. - P.223.

13. Argon Plasma Coagulation Ease and Safety with the APC - 300 / Healthcare Update. - 1997. - P. 51.



Plasma treatment of wound surfaces

რეზიუმე

„ახალი ტექნოლოგიები ფიზიკურ ჰემოსტაზში პლაზმური ნაკადის ტექნიკის მაგალითზე“

ბ.ცუცქირიძე, ს.ჯაიანი,
კრიტიკული მედიცინის ინსტიტუტი, თბილისი, საქართველო.

ბ. ცუცქირიძე
სამედიცინო დიაგნოსტიკური ცენტრი „დიაგნოზი“, თბილისი, საქართველო.

ამ სტატიაში ავტორები წარმოადგენენ მოკლე მიმოხილვას მედიცინაში ახალი ფიზიკური მეთოდის – პლაზმური ნაკადის გამოყენების გამოყენების შესახებ. განხორციელდა ახალი ტექნიკის პრაქტიკული გამოყენების მიმოხილვა მედიცინაში გამოყენებულ სხვა ფიზიკურ მეთოდებთან შედარებით. ავტორებმა წარმოადგინეს პლაზმური მედიცინის სარგებელი, რამდენიმე პრაქტიკული რეკომენდაცია და დასკვნა.

SUMMARY

“NEW TECHNOLOGIES IN PHYSICAL HEMOSTASIS USING THE EXAMPLE OF THE PLASMA FLOW TECHNIQUE”

B. TSUTSKIRIDZE, S. JAANI,
1. Institute of Critical Care Medicine, Tbilisi, Georgia.

G. TSUTSKIRIDZE
Medical diagnostic center “Diagnosis”, Tbilisi, Georgia.

In this article, the authors present a brief overview of the use of a new physical method in medicine - plasma radiation. A review of the practical application of the new technique in comparison with other physical methods used in medicine was carried out. The authors presented the benefits of plasma medicine, some practical recommendations and conclusions.

როგორ დავკლიოთ ღობა

დ. ცხომელიძე, ნ.ჭილაძე, მ. ცხომელიძე
თსუ-ს სამედიცინო ბიოლოგიისა და პარაზიტოლოგიის დეპარტამენტი


მე-20 საუკუნის ბოლო წლებში ალბათ არავის ეპარებოდა ეჭვი იმაში, რომ ადამიანის თითოეულ უჯრედში გენების რაოდენობა 100000 გენს შეადგენდა. თუმცა გავიდა დრო და ეს ციფრი უკვე 20000-გენამდე შემცირდა. იმ დროისთვის არც ის იყო დადგენილი, თუ რატომ ემართებოდა იდენტური ტყუპებიდან ერთ-ერთ ტყუპისცალს შიზოფრენია ან სხვა სახის დაავადებები და მეორეს არა, მაშინ როდესაც მათ აბსოლუტურად ერთნაირი გენეტიკური კოდი გააჩნდათ და ორივე ტყუპისცალი ერთსა და იმავე საშვილოსნოში იზრდებოდა. მაგრამ მოხერხდა ამ დოგმის დაძლევა და წინა პლანზე წამოიწია ამ მოვლენის ეპიგენეტიკურმა ახსნამ, რომლის მიხედვითაც ჩვენს უჯრედებში დნმ-ის განსაზღვრულ უბნებს მცირე ქიმიური ჯგუფები ემატება, რომლებიც ხელს უშლიან ამა თუ იმ გენის ექსპრესიას და შესაბამისად გარკვეული ჯგუფის ცილების სინთეზს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი დნმ სპეციფიკური ცილებითაა გარემოცული. ამ ცილებსაც თავის მხრივ, განსაზღვრული ქიმიური ჯგუფები შეიძლება მიუერთდეს და მიუხედავად იმისა, რომ არცერთი ეს მოლეკულური დანამატი ძირითად გენეტიკურ კოდს არ ცვლის, მათ მაინც შეუძლიათ იმოქმედონ ახლომდებარე გენების ექსპრესიაზე. ეპიგენეტიკა ასევე აქარწყლებს საზოგადოების გარკვეული ნაწილის გულუბრყვილო წარმოდგენებს იმის შესახებ, რომ ბებიები, ბაბუები და შვილიშვილები მეტწილად „ერთი და იგივე ჭკუისანი არიან“. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ხანდახან მათ შორის გარეგნული მსგავსებაც იჩენს თავს და ხასიათის ზოგი თვისებებიც ემთხვევა ერთმანეთს.

ამიტომ არც ის არის გასაკვირი, რომ შვილიშვილების აღზრდაში „დიდი მშობლები“ - ანუ ბებიები და ბაბუები საკმაოდ დიდ როლს თამაშობენ და შემდგომშიც, შვილიშვილების ასაკის მატებასთან ერთად




ნობელის პრემიის ლაურეატი ქალები - ჯენიფერ დაუნა და ემანუელა შერპანტიე, რომელთაც უდიდესი წვლილი მიუძღვით CRISPR Cas9 ტექნოლოგიის შექმნაში.

იგრძნობა მათ შორის გარკვეული „მიჯაჭველობის“ არსებობა. ძალაუფლებურად იზადება კითხვა, ხომ არ ხდება ისე, რომ ის გენები რომლებსაც შვილები მემკვიდრეობით ღებულობენ მშობლებისაგან, მათში ზოგჯერ უბრალოდ იბლოკება ეპიგენეტიკური ფაქტორებით, მაშინ როდესაც შვილიშვილებში ეპიგენეტიკური შეზღუდვები მეტწილად ისე ქრება და ბებიებისა და ბაბუების გენების მსგავსად, ისინიც აქტიურად ექსპრესირდებიან ორგანიზმში. თუ ამას დაუმატებთ იმასაც, რომ „დიდი მშობლები“ შვილიშვილების მიმართ შედარებით ღმობიერები და დამთმობები არიან, საბოლოო ჯამში ამ ორ თაობას შორის თანდათან სრული ურთიერთგაგება და ჰარმონია მყარდება და ჩნდება ერთგვარი „მიჯაჭველობა“ დიდ მშობლებსა და შვილიშვილებს შორის. უფრო მეტიც, შეიძლება ითქვას, რომ საბოლოო ჯამში ამ ტიპის ურთიერთობას დიდი სარგებლობა მოაქვს სამივე თაობის ადამიანებისათვის: დიდი მშობლებისათვის, შვილებისა და შვილიშვილებისათვის. რაც შეეხება სხვა სახის დოგმებს, გვინდა ავლნიშნოთ, რომ ასევე საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში ითვლებოდა რომ ვირუსები ყოველთვის გაცილებით უფრო მცირე ზომის არიან, ვიდრე მრავალუჯრედიანი ორგანიზმები და ბაქტერიები, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ჩვეულებრივ ამებაში არსებობენ გიგანტური ზომის ვირუსები, რომლებიც სიდიდის თვალსაზრისით მნიშვნელოვნად განსხვავდებიან სხვა სახის ვირუსებისაგან. საბოლოო ჯამში, ამ აღმოჩენამ მნიშვნელოვნად შეცვალა ჩვენი წარმოდგენა ვირუსების ბუნებისა და ევოლუციის შესახებ. უფრო მეტიც, სულ რაღაც 15 წლის



ბებია და შვილიშვილი

წინათ, ალბათ იშვიათად თუ ვინმე წარმოიდგენდა ან საერთოდ ვინ წარმოიდგენდა, რომ მეცნიერები ოდესმე შეძლებდნენ ბუნებრივი სინთეტიკური დნმ-ის შექმნას?! მაგრამ ეს სასწაული მოხდა და 2010 წელს ცნობილი ამერიკელმა მეცნიერმა კრეიგ ვენტერმა თავის კოლეგებთან ერთად შექმნა ბაქტერიის **Mycoplasma mycoides** მთლიანი გენომის ხელოვნური სინთეზი და ამ გენომის მოთავსება მეორე ბაქტერიის ცარიელ მემბრანაში. რაც კიდევ ერთი უაღრესად მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო თანამედროვე მოლეკულური ბიოლოგიის განვითარების საქმეში. აქვე გვინდა ავლინდეთ, რომ ამავე პერიოდში გარკვეული სი-ახლეები დაინერგა მედიცინაშიც. ისეთი მნიშვნელოვანი სადიაგნოსტიკო საშუალებების გამოყენებით, როგორც არის კომპიუტერული ტომოგრაფია, მაგნიტურ რეზონანსული ტომოგრაფია, პოლიმერაზული ჯაჭვური რეაქცია, სხვადასხვა სახის სეროლოგიური მეთოდები - გაცილებით უფრო მეტად გაუმჯობესდა და ამალდა პაციენტთა მკურნალობის ხარისხი. ამას დაემატა ლეროვანი უჯრედების თერაპია, ბიოპრინტირის შექმნა, ასევე რობოტების ფართო გამოყენება ქირურგიული ოპერაციების დროს და ა.შ. თუმცა, ახალი ტიპის დაავადებების გამოჩენამ ახალი გამოწვევებიც დააჩინა და საზოგადოებაშიც გაჩნდა მოთხოვნილება თანამედროვე ბიოლოგიისა და მედიცინის განვითარების ტემპების დაჩქარების შესახებ. 21-ე საუკუნეში ისეთი საშიში დაავადების საყოველთაო გავრცელებამ, როგორც ეს **COVID-19** გახლდათ, მნიშვნელოვნად შეარყია მთელი მსოფლიოს ჯანდაცვის სისტემა და ადამიანთა მოდგმის არსებობასაც სერიოზული საფრთხე შეუქმნა. მაგრამ ამავე დროს მნიშვნელოვნად გაიზარდა საზოგადოების ფართო დაინტერესება მედიცინით და ბიოლოგიით და შესაბამისად, გაიზარდა მოთხოვნა სხვადასხვა სახის საბუნების-მეტყველო მეცნიერებების განვითარების პერსპექტივებზეც. მეცნიერებაში არსებული ზოგიერთი ადრინდელი დოგმაც ამა თუ იმ აქტუალური პრობლემის სიღრმისეული განხილვის შედეგად მთლიანად დაიმსხვრა ან მისი არსებობა საერთოდ ეჭვის ქვეშ დადგა. ალბათ ისიც მშვენივრად გახსოვთ, თავდაპირველად თუ როგორი მტკიცე და ურყევი იყო ექიმებისა და მეცნიერების განცხადებები და მტკიცებები იმის შესახებ, რომ **COVID-19** ის სანინაალმდეგო ვაქცინის დამზადება მინიმუმ მხოლოდ 5 წლის შემდეგ იქნებოდა შესაძლებელი, მაგრამ ეს საყოველთაოდ ცნობილი დოგმა ვაქცინების დამზადებისა და მათ გამოცდის ვადების შესახებ უცებ დაიმსხვრა და მეცნიერებმა და ექიმებმა მწარმოებლებთან ერთად მაინც მოახერხეს ახალი ტიპის ვაქცინების არა მარტო დამზადება, არამედ მათი პრაქტიკაში დროული დანერგვა სულ რაღაც 1-2 წლის განმავლობაში. ასე და ამგვარად, ადამიანთა მოდგმამ დიდი მსხვერპლის გაღების ხარჯზე მაინც შექმნა თავისი არსებობის შენარჩუნება და ამ ვერაგი დაავადების **COVID-19**-ის მიმართ ღირსეული წინააღმდეგობის განევა. აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ მედიცინასა და ბიოლოგიაში **COVID-19**-ის დამარცხების შემდეგ თვით კვლევის ტექნოლოგიებმა და სამეცნიერო მიმართულებებმა განიცადეს ხარისხობრივი ცვლილება, რაც იმედია აუცილებლად მოგვითვალს მნიშვნელოვან შედეგებს



CRISPR Cas9

უახლოეს მომავალში. ამის ნათელი მაგალითია, თუნდაც **CRISPR Cas9**- საშუალებით გენომის რედაქტირების ტექნოლოგია, რომელიც სადღეისოდ სულ უფრო და უფრო მეტ დახვეწას და მოდიფიკაციას განიცდის და უკვე გვაძლევს მნიშვნელოვან შედეგებს არა მარტო სხვადასხვა დაავადებების მკურნალობის საქმეში, არამედ გლობალური დათბობის პირობებში იგი ადამიანთა საზოგადოების მიმშლილსაგან და სხვა სახის პრობლემებისაგან დაცვის უნიკალურ მეთოდსაც წარმოადგენს, და მაინც, მიუხედავად ამისა, ამ ტიპის კვლევების ჩატარებისას, აუცილებელია ადამიანის ორგანიზმის ურთულესი ბუნების და მისი გენომის თავისებურებების წინასწარ გათვალისწინება, რათა წარმატებით მოვახერხოთ წარმოქმნილი ახალი ტექნოლოგიების გამოყენებისას ნორმოქმნილი სხვადასხვა სახის სირთულეების თავიდან აცილება და მათი დროულად დაძლევა. ამ და მსგავსი პრობლემების სიღრმისეულად გასააზრებლად განვიხილოთ თუ როგორია ახალი ტექნოლოგიების გამოყენების პერსპექტივები სპორტთან მიმართებაში.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ბევრ ადამიანს გააჩნია **ACTN3** გენის მუტაცია. ეს არის ერთერთი გენი, რომელიც კუნთის შეკუმშვის სისწრაფეზე მოქმედებს. თუ თქვენ გააჩნიათ ამ ნორმალური გენის ორივე ასლის მუტაცია თქვენი შანსი ოლიმპიურ ჩემპიონად გახდომისა პრაქტიკულად ნულის ტოლია. მაგრამ წარმატების მოპოვება სპორტში არის მეტად რთული მოვლენა, რომელიც არ აიხსნება მარტო ერთი ან რამოდენიმე გენის მუტაციით ადამიანის გენომში. სპორტში გამარჯვების მისაღწევად აუცილებელია აგრეთვე ისეთი ფაქტორების ერთობლიობა როგორიცაა ნორმალური კვება, აღზრდა, მოტივაციის ქონა და ა.შ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენს გენომში დაახლოებით 200-მდე გენია, რომლებიც სპორტულ შედეგებზე ახდენენ უშუალო გავლენას და ამ 200 გენიდან მხოლოდ 23 არის მჭიდროდ დაკავშირებული ატლეტიზმთან. მომავალში ექიმები ალბათ შეძლებენ სპორტსმენის ზოგიერთი უჯრედის გენომში გენეტიკური რედაქტირების განხორციელებას, რის შედეგადაც მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება ამ ორგანიზმის ამტანობა და კუნთების აღდგენის პროცესი, რაც ალბათ პირდაპირ კავშირში იქნება სპორტული მიღწევების გაუმჯობესებასთანაც. თუმცა მაინც კვლავინდებურად ძნელი იქნება ზოგიერთი ფსიქოლოგიური დოგმის,

კერძოდ კი „ნარმატებლობის შიშის“ კომპლექსის დაძლევა, რომელიც სულაც არ არის გენომის პრეროგატივა, არამედ დაკავშირებულია თავის ტვინის გარკვეული უბნების, ნეირონებისა და ჰორმონების ურთიერთშე-თანხმებულ მოქმედებასთან.

REFERENCES

1. https://www.youtube.com/results?search_query=grandparents+and+grandchildren+similarity+images
2. [https://www.google.com/search?sca_esv=43eb03caa-](https://www.google.com/search?sca_esv=43eb03caa-67a0f6e&sca_upv=1&rlz=1C1GCEA_enGE939GE939&q=rispr+cas9+gene+editing&uds)

67a0f6e&sca_upv=1&rlz=1C1GCEA_enGE939GE939&q=rispr+cas9+gene+editing&uds

3. <https://www.medicaltechnologyschools.com/medical-lab-technician/top-new-health-technologies>
4. https://en.wikipedia.org/wiki/Stem-cell_therapy
5. Jamie Metzger-HACKING DARWIN GENETIC ENGINEERING AND THE FUTURE OF HUMANITY. SOURCEBOOKS, 2019
6. Nessa Carey THE EPIGENETICS REVOLUTION-COLUMBIA UNIVERSITY PRESS-2012

რეზიუმე

როგორ დაველოდოთ დოგმას

დ. ცხომელიძე, ნ. ჩილაძე, მ. ცხომელიძე
თსუ-ს სამედიცინო ბიოლოგიისა და პარაზიტოლოგიის დეპარტამენტი

ძალიან ხშირად მეცნიერებაში არსებული კანონები და შეხედულებები გარკვეული დროის გასვლის შემდეგ ზოგჯერ დოგმატურ ხასიათს ატარებს და ხელს უშლის ახალი იდეების, შეხედულებებისა და მიმართულებების განვითარებას ცხოვრებაში. ჩვენი აზრით, საჭიროა მეტი სითამამე და ოპტიმიზმი მეცნიერებაში ნარმატებების მისაღწევად, რამეთუ 21-ე საუკუნეში გლობალური დათბობისა და ბუნების სხვა მთელი რიგი გამოწვევების ფონზე ადამიანის საქმიანობა მოითხოვს ადამიანთა საზოგადოების მიერ გაცილებით უფრო მეტი წინდახედულობის გამოჩენას და სწრაფი და დროული გადაწყვეტილებების მიღებას როგორც მეცნიერებაში, ასევე ჩვეულებრივ ცხოვრებაში.

SUMMARY

HOW TO OVERCOME DOGMA

D.TSKHOMELIDZE, N. CHILADZE, M.TSKHOMELIDZE. TSMU
Department of medical biology and parasitology

Very often, the existing laws and views in science sometimes become dogmatic after a certain period of time and prevent the development of new ideas, views and directions in science.

In our opinion, more courage and optimism are needed to achieve success in science, because in the 21st century, in the face of global warming and other challenges of nature, human activity requires much more foresight by human society and making quick and timely decisions both in science and in everyday life.

ორსულის კვება, მოვლა და ჰიბიენა. ბარიატრიული ქირურგია და ორსულობა

ნ. თოთაძე
(საქართველო, თბილისი)

ორსულის ძალის კვება, მოვლა და ჰიბიენა.

ორსულის ჯანსაღი, დაბალანსებული კვება მნიშვნელოვანია ნაყოფის სრულფასოვანი განვითარებისთვის, ძირითადად ორსულები აღნიშნულ რეკომენდაციებს იღებენ გინეკოლოგებისგან, რადგან ნუტრიციოლოგის კონსულტაცია ამ ეტაპზე ნაკლებად სავალდებულოა ჯერ კიდევ ჩვენს ქვეყანაში, ამიტომ შევქმენი სამედიცინო ბუკლეტი, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება მათთვის, მარტივად ასაღებელი და ვფიქრობ შედეგის მომტანი. ასევე სტატიაში ვსაუბრობ, რომ ბარიატრიული ქირურგიული ოპერაციები გაიზარდა იმ ქალებში, რომლებსაც სურთ დაორსულება და ჭარბი

წონა ამის საშუალებას უზღუდავს, ორსულობაც ხშირად მიღწევადია, მაგრამ აქ მნიშვნელოვანია ორსულობა რამდენი თვის შემდეგ დადგა, როგორ მიმდინარეობდა მისი კვების საკითხი. ჩემთვის როგორც პედიატრი, ნუტრიციოლოგისთვის მნიშვნელოვანია დაკვირვება იმ ახალშობილებზე, რომლებიც გააჩინა დედამ აღნიშნული ოპერაციის შემდეგ. კვლევის შესახებ ვსაუბრობ სტატიაში.

სტატია

ჯანსაღი კვება მნიშვნელოვანია თითოეული ადამიანისთვის, განსაკუთრებით ეს საკითხი საყურადღებოა, როდესაც ვსაუბრობთ : ახალშობილზე, ჩვილზე,

დედის კვებაზე ლაქტაციის დროს და ქალის კვებაზე, რომელიც გეგმავს ორსულობას და ორსულობის დროს.

ორსულის სწორი, დაბალანსებული კვება განაპირობებს ნაყოფის სრულფასოვან განვითარებას.

მნიშვნელოვანია ყოველდღიური მენიუ დატვირთული იყოს იმ საკვებით, სწორი ბალანსით, რომელიც ესაჭიროება დედას და ნაყოფს. ფოლიუმის მჟავის დამატებით ორსულობის დროს დედის კვების ხასიათი განსაზღვრავს ჩვილის დამოკიდებულებას საკვები პროდუქტებისადმი-მიმდებლობა დამატებითი კვების დროს.

ორსულის კვება საუკუნეების მანძილზე იყო საყურადღებო ამოუცნობი დეტალური საკითხებით. ინგლისში მე-16, მე-17 და მე-18 საუკუნეებში ყურადღება ექცეოდა კავშირს ორსულობასა და საკვებისადმი ლტოლვას შორის და დიდ დროს უთმობდნენ ამ მოთხოვნილების ანალიზს, ორსულის დიდი მასის მატებას, ნაკლებად მასის მატებას და მის გავლენას ნაყოფის განვითარებაზე და ახალშობილის ჯანმრთელობაზე.

მეან-გინეკოლოგთა ამერიკული კოლეჯის ACOG რეკომენდაციით ორსული ერთი ნაყოფით, უნდა ლეზობოდეს დამატებით 300-340 კალორიას დღეში მეორე ტრიმესტრიდან, ტყუპების დროს კი დაახლოებით 600 დამატებითი კალორიას, ხოლო 3 ტყუპის შემთხვევაში-900 დამატებით კალორიას. ყოველდღიურმა კვებამ უნდა უზრუნველყოს საჭირო ყველა ვიტამინი და მინერალი.

The Academy of Nutrition and Dietetics რეკომენდაციას უწევს ორსულობის დროს ჯანსაღი ცხოვრების წესის შემდეგ ძირითად კომპონენტებს: სათანადო წონის მომატება, ბალანსირებული კვება, მონესრიგებული ძილი.

ორსული ქალების უმეტესობა იმატებს 10-დან 12,5 კგ-მდე ორსულობის დროს, ძირითადად ორსულობის მე-20 კვირის შემდეგ. ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია, რომ მომატებული კალორიები დღეში არ ნიშნავს „კვება 2-ისთვის“.

პირველ ტრიმესტრში ბევრ პაციენტს აღენიშნება გულისრევა და ლებინება, უმადობა, ამიტომ კვება რთულდება. ეს ართულებს ცილებით და კალორიებით მდიდარი საკვების მიღებას. ამ დროს რეკომენდებულია მედიკამენტების მიღება გულისრევისა და ლებინების თავიდან ასაცილებლად ექიმის დანიშნულებით. ამ მდგომარეობის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია მეორე ტრიმესტრიდან მომატებული კალორიებით კვების საკითხი, მით უფრო თუ პირველ ტრიმესტრში აღინიშნებოდა წონის კლება.

ორსულობის პერიოდში რეკომენდებულია:

ხილი და ბოსტნეული

5 პორცია ხილი და ბოსტნეული ყოველდღე – ეს შეიძლება იყოს ახალი, გაყინული, დაკონსერვებული, ჩირისა და ნატურალური წვენის სახით.

რეკომენდებულია 2 ჭიქა ხილი და 2,5-3 ჭიქა ბოსტნეული.

ხილის ერთი პორციაა: მთლიანი ხილის საშუალო ნაჭერი არის 80 გრ.

1 პორცია არის ოდენობა, რომელიც შეიძლება მოერგოს ხელის გულზე.

ხილი: პორცია არის 2 ან მეტი პატარა ხილი – მაგალითად, 2 ქლიავი, 2 კივი, 3 გარგარი, 7 მარწყვი ან 14 ალუბალი.

(ხილი სასურველია გადანაწილდეს დღის მანძილზე-მასში შემავალი შაქარი ერთჯერადად დიდი ოდენობით რომ არ მიიღოს ორგანიზმა.)

მშრალი ხილი-ჩირი დაახლოებით 30 გრ. ეს არის დაახლოებით 1 სრული სუფრის კოვზი ქიშმიში, მოცხარი.

კარიესის რისკის შესამცირებლად, გამხმარი ხილი სასურველია საკვებად როგორც საჭმლის ნაწილი – მაგალითად, როგორც დესერტი და არა როგორც ცალკე ხემსი. ასევე ხილის წვენი ან სმუზი კვების დროს.

კონსერვირებული ხილი სასურველია ნატურალურ წვენი და არა სიროფში.

უშაქრო 100% ხილის წვენი, ბოსტნეულის წვენი და სმუზი შეიძლება იყოს მაქსიმუმ 1 პორცია დღეში 5-დან. საერთო რაოდენობა 150 მლ.

მთლიანი ხილი ნაკლებად ინვესტ კბილების დაზიანებას

ბოსტნეული

3 პორცია (1 პორცია დაახლოებით 75-80 გრ.) ბოსტნეული: ბროკოლი, ისპანახი, კიტრი, პომიდორი, ბატატი, სტაფილო, ბულგარული, გოგრა, ყვავილოვანი კომბოსტო.

ბოსტნეული: პორცია არის 3 ნიახურის ღერო, ან 1 კიტრი, ან 1 საშუალო პომიდორი ან 7 ჩერი პომიდორი.

მაგალითად, 3 სრული სუფრის კოვზი ბარდა ან ტკბილი სიმინდი ითვლება 1 პორციად.

კარტოფილი არ არის ბოსტნეული. კლასიფიცირდება როგორც სახამებლის შემცველი საკვები, როგორცაა პური, ბრინჯი ან მაკარონი.

პროტეინი

ცილებით მდიდარი საკვები ყოველდღე: ლობიო, თევზი, კვერცხი, ხორცი (მოერიდეთ ღვიძლს), ფრინველის ხორცი. თხილეული, თესლეული, რძის პროდუქტი.

მინიმუმ 60 გრამი ცილა დღეში, რაც შეადგენს კალორიების დაახლოებით 20-25 პროცენტს. 0,8 გრამი ცილა კლ/წონაზე, მინიმუმ 40 გრამი ცილა დღეში.

თევზი, ხორცი, კვერცხი, ლობიო, პარკოსნები და თხილი.

თევზის 2 პორცია კვირაში 2-ჯერ.. როგორცაა ორაგული, კალმახი, სარდინი ან სკუმბრია. ან კვირაში 2-ჯერ თინუსის სტიკი, დაახლოებით 140 გრ თერმულად დამუშავებული. ნაკლებად ცხიმოვანი, 1% ცხიმოვანობით ან უცხიმო რძე, იოგურტი და ყველი. რძის ალტერნატივები: მაგალითად სოიოს სასმელი ვიტამინებით გამდიდრებული ვერსიები.

ბურღულეული

ბურღულეულის მიღება დღეში 8½ ულუფამდე. ძირითადად მთლიანი მარცვლეულის, ბოჭკოს და ვიტამინების შემცველი.

ეს საკვები უნდა შეადგენდეს დღის რაციონის მხოლოდ მესამედს.

მთელმარცვლიანი პური, ბრინჯი, მაკარონი, სიმინდი, ფეტვი, შვრია, და სიმინდის ფქვილი. 1 ნაჭერი პური, ან ბრტყელი-პიტა პური (40 გრ)

1/2 ჭიქა მოხარშული ბრინჯი, მაკარონი, ქერი, ნინიზურა, ან ქინოა.

1/2 ჭიქა მოხარშული ფაფა, 2/3 ჭიქა ხორბლის მარცვლეულის ფანტელები, 1/4 ჭიქა მიუსლი, 3 ხრაშუნა პური, 1 პატარა ინგლისური მავინი.

ნახშირწყლები

ნახშირწყლები უნდა შეადგენდეს ყოველდღიური კალორიების დაახლოებით 45-65 პროცენტს. ორსული და მეძუძური ქალების უმეტესობას დღეში დაახლოებით 175-210 გრამი ნახშირწყალი ესაჭიროება, რაც უნდა შეადგენდეს დღიურად მიღებული საკვების მხოლოდ მესამედს.

გესტაციური დიაბეტის დროს, ნახშირწყლების მიღების შეზღუდვა დღიური კალორიების 40 პროცენტამდე. საუზმეზე - ნაკლებად მარცვლეულს.

ცხიმები - ყოველდღიური კალორიების დაახლოებით 25 %-35%. ცხიმო

მონოუჯერი ცხიმების მიღება უპირატესია ნაჯერ ცხიმებთან. ყოველდღიური კალორიების 10 პროცენტზე ნაკლები უნდა იყოს ნაჯერი ცხიმო.

კოფეინი

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია (WHO), მეან-გინეკოლოგთა ამერიკული კოლეჯი რეკომენდაციას უწევს ორსულმა კოფეინის მიღოს მაქსიმალური დოზა 300 მგ.

100 მგ კოფეინი - 1 ჭიქა ხსნადი ყავა.

140 მგ კოფეინი - 1 ჭიქა ფილტრის ყავა.

75 მგ კოფეინი - 1 ჭიქა ჩაი. (როგორც შავი, ასევე მწვანე)

40 მგ კოფეინი - 1 კოლას ქილაში.

50 გრ. კოფეინი - შავი შოკოლადის ფილაში.

10მგ კოფეინი - 50გრ. რძიან შოკოლადში.

მუქი შოკოლადი: 80 მგ კოფეინი - 100 გრამ პროდუქტში..

შავი ჩაი: 47 მგ კოფეინი 240 მლ პროდუქტში.

უკოფეინო ყავა - უკოფეინო ყავა - 97% კოფეინი ამოღებული.

მოხარშული ფინჯანი 240 მლ უკოფეინო ყავა შეიცავს დაახლოებით 2,4 მგ კოფეინს და ესპრესო 60 მლ დაახლოებით 0,6 მგ კოფეინს.

რამდენად უსაფრთხოა უკოფეინო ყავა ორსულობის დროს?

არ არსებობს ოფიციალური გაიდლაინები უკოფეინო ყავისა და ორსულობის შესახებ.

1997 წელს და 2018 წელს ჩატარებული კვლევებით, დადგინდა რომ რომელმაც დაადგინა, რომ ქალები, რომლებიც სვამდნენ 3 ან მეტ ფინჯან (710+ მლ) უკოფეინო ყავას ორსულობის პირველ ტრიმესტრში, ჰქონდათ 2,4-ჯერ უფრო მაღალი რისკი ორსულობის შეწყვეტის.

მცენარეულ ჩაიში გამოყენებული ზოგიერთი მცენარე, ბალახი ასევე შეიძლება იყოს პოტენციურად საშიში ორსულობის დროს. განსაკუთრებით პირველი ტრიმესტრი.

შაქარი და დამატებული

არაუმეტეს 7,5 ჩაის კოვზი,

30 გრამი თავისუფალი შაქარი, რაც დაახლოებით შეიძლება შაქრის კუბია.

მაგალითად, ერთ ქილა კოლა შეიცავს 9 კუბს. რაც დღიურ დოზაზე მეტია.

შაქრიანი საკვები და სასმელი ხშირად მეტად კალორიულია, რაც ხელს უწყობს წონის მატებას, ასევე კბილების დაზიანებას.

დამატებები

მიუხედავად იმისა, რომ NHS-ის ინფორმაციით, დამატებები უსაფრთხოა ორსულობის დროს, უმჯობესია ნაკლებად იყოს გამოყენებული პროდუქტებში.

(FDA) დაამტკიცა ასპარტამი, აცესულფამი-K და სუკრალოზა -E 955 ორსულობის დროს გამოსაყენებლად.

მარილი

3000 მილიგრამი დღეში. 1 1/2 ჩაის კოვზი ერთი ჩაის კოვზი მარილი შეიცავს 2000 მილიგრამს (მგ.) ნატრიუმს.

სამედიცინო აუცილებელი ჩვენების დროს ექიმის გადანყვეტილებით შეიძლება შემცირდეს.

წყალი საუკეთესო სასმელი ორსულობის დროს. წყალი, ორსულობის დროს 8-დან 12 ჭიქამდე (64-96 უნცია) ყოველდღე.

ორსული და ალერგიის გამოწვევი პროდუქტები

რაც შეეხება ისეთ საკვებს, რომლებიც გარკვეულ შემთხვევაში იწვევენ ალერგიებს, ანუ შეიცავენ გარკვეულ ალერგენებს, როგორცაა მაგალითად კივი, არაქისი, კვერცხის ცილა, ბოლოდროინდელი კვლევების მიხედვით არ არის საჭირო დედამ უარი თქვას ამ ტიპის საკვების მიღებაზე, პირიქით, ახალშობილი, რომელიც ამ ტიპის საკვებთან შედის კონტაქტში ძუძუთი კვების პერიოდში ან ჯერ კიდევ მუცლადყოფნის დროს, უფრო ნაკლებადაა მიდრეკილი მათზე ალერგიის განვითარებისკენ. მაგრამ თუ დედა იცის, რომ უკვე ალერგიულია ამ კონკრეტული სახის რაიმე პროდუქტზე აუცილებლად უარი უნდა თქვას მათ მიღებაზე.

მინის თხილი-არაქისი

ორსულობის დროს არ კრძალება არაქისის და სხვა ცნობილი 8 ყველაზე ალერგიული პროდუქტის მიღება, გარდა ინდივიდუალური ალერგიული დამოკიდებულებისა.

ვიტამინები, მინერალები

ორსულობის დროს მნიშვნელოვანია ვიტამინების ათვისება საკვები პროდუქტებიდან, ასევე მედიკამენტების სახით მიღება, მაგ. ფოლიუმის მჟავა

რკინა - ორსულობის დროს საჭიროა 27 მილიგრამი დღეში. ანემიის დროს 60 მილიგრამამდე დღეში ექიმის რეკომენდაციით.

თუთია ორსულობის დროს თუთია 11 მილიგრამი დღეში, 13 მილიგრამი თუ 18 წელზე უმცროსია ორსული.

კალციუმი - 18 წლის ან უმცროსი, 1300 მილიგრამი დღეში. 19-დან 50 წლამდე, საჭიროა დღეში 1000 მილიგრამი კალციუმი. (1,5-2 გ დღეში).

ფოლატი - დღეში მინიმუმ 600 მიკროგრამი.

D ვიტამინი 600 სე.

DHA. ომეგა -3 ცხიმოვანი მჟავა, 200-დან 300 მილიგრამამდე დღეში.

იოდი დღეში 290 მიკროგრამი.

ქოლინი – 450 მილიგრამი.

აუცილებელი კონტროლი საკვების, რომელიც მდი-
დარია ცხიმებით, შაქრით, მაგ. კრემი, შოკოლადი, ორ-
ცხობილა, ნამცხვრები, ნაყინი, პუდინგები, ტკბილი
გაზიანი სასმელები. განსაკუთრებით შეზღუდული
რაოდენობით შიმშილის დროს-კვების წინ.

**ორსულობის დროს არ არის რეკომენდებული შემ-
დეგი საკვები:**

- არ არის რეკომენდებული-არაპასტერიზებული რძე
და არაპასტერიზებული რძით დამზადებული საკვები -
ყველი ბრი, დანიური ყველი ლურჯი ობით,(მეტი ტენინანო-
ბა აქვს. ამან შეიძლება გააადვილოს ბაქტერიების ზრდა.)

- უმი და არასრულად თერმულად დამუშავებული
ზღვის პროდუქტები, კვერცხი და ხორცი. უმი თევზით
დამზადებული სუში. შებოლილი ზღვის პროდუქტები.
თევზი: ზვიგენი, ხმალთევზა. უმი მოლუსკები (მავნე
ბაქტერიები, ვირუსები ან ტოქსინების თავიდან არი-
დება. უმი ან მსუბუქად მოხარშული ქათმის კვერცხი.

- ნანადირევი ხორცი: ბატი, ხოხობი. (ტოქსოპლაზ-
მოზის რისკი. შეიძლება შეიცავდეს ტყვიის გასროლის
შემდეგ ტოქსიურ ნივთიერებას.)

- პაშტეტი(ღვიძლსა და ღვიძლის პროდუქტებს შე-
იცავს დიდი რაოდენობით A ვიტამინს. ეს შეიძლება
საზიანო იყოს ნაყოფისთვის.) ასევე A ვიტამინს (რე-
ტინოლის) შემცველი დანამატები. ძირტკბილა მცენა-
რე უსაფრთხოა, მაგრამ ფესვები მოსარიდებელი.

- ელექტრონული სიგარეტი არ არის დამტკიცებუ-
ლი FDA-ს მიერ, რათა დაეხმაროს ადამიანებს მოწვევის
შენეგებებაში. მიუხედავად იმისა, რომ ელექტრონული
სიგარეტის აეროზოლს ჩვეულებრივ აქვს ნაკლები
მავნე ნივთიერებები, ვიდრე სიგარეტის კვამლი,
ელექტრონული სიგარეტი და ნიკოტინის შემცველი
სხვა პროდუქტები არ არის უსაფრთხო ორსულობის
დროს. სიგარეტში გამოყენებული ზოგიერთი არომა-
ტიზატორი შესაძლოა საზიანო იყოს ნაყოფისთვის.

- არ არის ცნობილი ალკოჰოლის გამოყენების
უსაფრთხო რაოდენობა ორსულობის დროს ან ორსუ-
ლობის დაგეგმვის დროს. ასევე არ არსებობს ორსუ-
ლობის დროს დალევის უსაფრთხო დღის პერიოდი. ნა-
ყოფის ალკოჰოლური სპექტრის დარღვევა (FASD). ნა-
ყოფს არ აქვს სრულად განვითარებული ღვიძლი და
არ შეუძლია ალკოჰოლის გადამუშავება.

კვების ჰიგიენის მხრივ რეკომენდებულია:

- უმი საკვები ინახება მზა საკვებისგან განცალკე-
ვებით.

- უმი ხორცისთვის განცალკავებით დანა და საჭრე-
ლი დაფა.

- ხორცეულის, კვერცხის თერმულად დამუშავება.

ორსული და ფიზიკური აქტივობა.

ორსულობისა და მშობიარობის შემდეგ-ლაქტაციის
დროს რეკომენდებულია ფიზიკური აქტივობა დღეში
30 წუთი, კვირაში მინიმუმ 150 წუთი, როგორცაა:
სწრაფი სიარული, იოგა, ცეკვა ან თუნდაც შოპონგი.

ყველაზე უსაფრთხო ორსული ქალებისთვის: სია-
რული, ცურვა, იოგა და წყლის ვარჯიშები.(ამცირებს
ზურგის ტკივილს, ამსუბუქებს ყაბზობას, წონის კლე-
ბა მშობიარობის შემდეგ, გულ-სისხლძარღვთა სისტე-
მისთვის, ამცირებს საკეისრო კვეთის რისკს)

დატვირთული აქტივობა-სირბილი, ცურვა, ან აერ-
ობიკის გაკვეთილები შეთანხმებით ინსტრუქტორთან.

არ არის რეკომენდებული, რისკის შემცველია:

ცხენოსნობა, დაღმართზე თხილამურებით სრიალი,
ყინულის ჰოკეი, ტანვარჯიში და ველოსიპედით სია-
რული, ვარჯიში ზღვის დონიდან 2500 მ სიმაღლეზე –
სიმაღლის ავადმყოფობის რისკი. ზურგზე წოლითი
ვარჯიშები დიდი დროით, განსაკუთრებით ორსულო-
ბის 16 კვირის შემდეგ. რადგან ნაყოფის სიმძიმე აწვე-
ბა მთავარ სისხლძარღვს. კიკბოქსი, ძიუდო.

ორსული ვეგეტარიანელი ან ვეგანი

სისტემატიური კონტროლი D ვიტამინის, რკინის და
ვიტამინი B12, ასევე კალციუმის და იოდის.

სასურველია მიღოს: მუქი მწვანე ბოსტნეული, ავო-
კადო, მთელმარცვლისანი ბურღულეული. თხილეუ-
ლი, ვიტამინებით გამდიდრებული პროდუქტები. ჩირი.
B12 ვიტამინის კარგი წყაროა რძე, ყველი და კვერცხი.

ვეგანებისთვის:

მარცვლეული ვიტამინი B12-ით გამდიდრებული.
უშაქრო სოიოს სასმელები ვიტამინით B12, D ვიტამი-
ნი-საპროფილაქტიკო პერიოდში და კალციუმის კონ-
ტროლი. საკვებად: მუქი მწვანე ფოთლოვანი ბოსტნე-
ული, უშაქრო სოიოს, ბარდის და შვრიის სასმელები,
მუქი და თეთრი პური, სეზამის მარცვლები, ჩირი.

რა თქმა უნდა აღნიშნული რეკომენდაციები ბევრი
კლინიკური კვლევებით არის განპირობებული და
მნიშვნელოვანია მისი ორსულებისთვის გაზიარება.
ამიტომ შევქმენი სამედიცინო ბუკლეტი, რომელიც
ადვილად გასაგები და დამხმარე იქნება ორსულების-
თვის ყოველდღიურად. სამედიცინო ბუკლეტი დანარ-
თის სახით (დანართი 1.).

ბარიატრიული ქირურგია არის ეფექტური მკურნა-
ლობა წონასთან დაკავშირებული თანმხლები დაავა-
დებების რისკის შესამცირებლად, ორსულობის შედე-
გის მისაღწევად. რეკომენდებულია ორსულობისგან
თავის არიდება ბარიატრიული ოპერაციიდან მინიმუმ
18 თვის განმავლობაში, რადგან ამ პერიოდში ხდება
წონის სწრაფი კლება, შეზღუდული საკვები რაციო-
ნის, არასრულფასოვანი კვების გამო, რამაც შეიძლება
დიდი ალბათობით გამოიწვიოს ნაყოფის არასრულფა-
სოვანი განვითარება. შესაბამისად რეკომენდებულია
კონტრაცეფციის გამოყენება ოპერაციიდან პირველი
18 თვის განმავლობაში. ორალური კონტრაცეფცია
შეიძლება არ იყოს საკმარისი დაცვა ბარიატრიული
ოპერაციის შემდეგ, რადგან არსებობს ეჭვი შენოვის
დაბალი ალბათობის შესახებ. ეს საკითხი აუცილებ-
ლად უნდა იქნას განხილული გინეკოლოგთან, რეპრო-
დუქტოლოგთან.

18 თვის შემდეგ ორსულობის დადგომის შემდეგ
მნიშვნელოვანია მისი სწორად მართვა სამედიცინო
პერსონალის მიერ, განსაკუთრებით გესტაციის 24-ე
კვირიდან. მნიშვნელოვანია, ულტრაბგერითი გამოკვ-
ლევები ყოველ 4-6 კვირაში ერთხელ ნაყოფის ზრდა-
განვითარების შესაფასებლად და კვების სპეციალის-
ტთან კონსულტირება ორსულობის პერიოდში საკვები
რაციონის ბალანსის კონტროლის მიზნით. კვების რა-
ციონის შედგენა აქაც იდენტურია, ჯანსაღი თევზის
პრინციპის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია შემ-
დეგი: ყოველდღიური პროტეინის მოთხოვნილება: 70-
100გრ დღეში. მორიდება

ცხიმისა და შაქრის შემცველი საკვების, უპირატე-
სობა უცხიმო ან ნახევრად ცხიმისანი რძის პროდუქ-
ტის. დღეში სითხე 1,5-2ლ, ძირითადად წყალი. სითხე
მთელი დღის განმავლობაში. გულისრევის დროს რე-

დანართი 1.

სამედიცინო ბუკლეტი

ქალის კვება ორსულობის დროს



კომენდებულია ცილოვანი კოქტეილის ან იოგურტის მიღება. ასევე

ნელა ჭამა, ღეჭვის სრულფასოვანი პროცესი. საკვები დანამატების მიღება ექიმის რეკომენდაციით.

ბარიატრიული ოპერაციის შემდეგ დედის ძუძუთი კვების შესახებ ცნობილი უკუჩვენებები არ არსებობს.

ბოლო წლებში ბარიატრიული ოპერაციის მოთხოვნა იზრდება, მიზეზი ორსულობა, მნიშვნელოვნად აქტუალური გახდა საქართველოში, ამიტომ ჩემი სტატიის ბოლოს მინდა გაგიზიაროთ ის კლინიკური კვლევების მიმდინარეობის საკითხი, რომელსაც ვატარებ. ინფორმაციის მიღება დაგეგმილია 30-მდე ახალშობილის შეფასების კუთხით, რომელთა დედების ორსულობა დადგა ბარიატრიული ოპერაციის შემდეგ შემდეგი კითხვარით:

1. ბარიატრიული ოპერაციის შემდეგ რამდენი თვის შემდეგ დადგა ორსულობა.
2. ორსულობის დროს როგორი იყო დედის კვების რაციონი,
3. ექიმთან ჰქონდათ თუ არა სისტემატიური ვიზიტები.
4. რა დანამატებს ღებულობდნენ ორსულობის დროს.
5. სამედიცინო თვალსაზრისით რა გართულებები აღენიშნებოდათ ორსულობის დროს.
6. ახალშობილის შეფასება. (დროული, დღენაკლი, აპგარის შკალით შეფასება, იყო თუ არა საჭიროება დამატებითი სამედიცინო ჩარევის აუცილებლობა-რეანიმაცია, ანტროპომეტრიული მონაცემები)
7. ირჩევს თუ არა დედა ძუძუთი კვებას.

სწორედ აღნიშნული წარმოადგენს ჩვენი კვლევის საკითხს მიმდინარე 2024 წელს, რომლის შედეგებსაც გაგიზიარებთ მოგვიანებით.

გამოყენებული ლიტერატურა.

1. NHS. Have a healthy diet in pregnancy. Page last reviewed: 21 April 2023
2. American Pregnancy Association, Pregnancy Nutrition.

3. Baharuddin D.M., Leik N.K., Hayati F., Daud M.N., See E., Sharif S.Z., Lah N.A. Successful pregnancy in morbidly obese lady with polycystic ovary syndrome after bariatric surgery: a case report. Int. J. Surg. Case Rep. 2021 Aug .

4. Di Lorenzo N., Antoniou S.A., Batterham R.L., Busetto L., Godoroja D., Iossa A., Carrano F.M., Agresta F., Alarçon I., Azran C., Bouvy N. Clinical practice guidelines of the European Association for Endoscopic Surgery (EAES) on bariatric surgery: update 2020 endorsed by IFSO-EC, EASO and ESPCOP. Surg. Endosc. 2020

5. Relationship between maternal caffeine and coffee intake and pregnancy loss: A grading of recommendations assessment, development, and evaluation-assessed, dose-response meta-analysis of observational studies.

6. Jafari A, Naghshi S, Shahinfar H, Salehi SO, Kiany F, Askari M, Surkan PJ, Azadbakht L. Front Nutr. 2022 Aug 9;9:886224. doi: 10.3389/fnut.2022.886224. Collection 2022.- PMID: 36017225 MTHFR gene polymorphism and homocysteine levels in spontaneous abortion of pregnant women.

7. Zhang L, Fu H, Wei T. Am J Transl Res. 2021 Jun 15;13(6):7083-7088. Collection 2021. PMID: 34306468

8. Bariatric Surgery Malnutrition Complications. 19/05/2023.

9. <https://www.ncbi.nlm.nih.gov/books/NBK592383/>

10. Sick but healthy: bariatric patients and the social construction of illness and disability. 10/03/2020.

11. Breastfeeding and pre-pregnancy bariatric surgery: A scoping review.

12. Nutrition During Pregnancy.

<https://www.acog.org/womens-health/faqs/nutrition-during-pregnancy#:~:text=During%20pregnancy%20you%20need%20folic, below%20table%20for%20recommended%20amounts.>

13. Have a healthy diet in pregnancy. <https://www.nhs.uk/pregnancy/keeping-well/have-a-healthy-diet/>.

<https://kingstonhospital.nhs.uk/wp-content/uploads/2019/12/nutrition-and-weight-management-in-pregnancy.pdf>

14. American Academy of Pediatrics (AAP) Recommendations. <https://www.verywellfamily.com/latest-aap-recommendations-2634045>

15. Experiences and information needs of women who become pregnant after bariatric surgery: An interpretive descriptive qualitative study. <https://www.sciencedirect.com/science/article/pii/S026661382300055416>. Pregnancy after Bariatric Surgery.

16. Pregnancy after Bariatric Surgery. <https://www.chelwest.nhs.uk/your-visit/patient-leaflets/bariatric-dietetics/-pregnancy-after-bariatric-surgery>

რეზიუმე

ორსულის კვება, მოვლა და ჰიგიენა. ბარიატრიული ქირურგია და ორსულობა.

ნ.თოთაძე

(საქართველო, თბილისი)

ორსულის ქალის კვება, მოვლა და ჰიგიენა.

ორსულის ჯანსაღი, დაბალანსებული კვება მნიშვნელოვანია ნაყოფის სრულფასოვანი განვითარებისთვის, ძირითადად ორსულები აღნიშნულ რეკომენდაციებს იღებენ გინეკოლოგებისგან, რადგან ნუტრიციოლოგის კონსულტაცია ამ ეტაპზე ნაკლებად სავალდებულოა ჯერ კიდევ ჩვენს ქვეყანაში, ამიტომ შევქმენი სამედიცინო ბუკლეტი, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება მათთვის, მარტივად ასაღქმელი და ვფიქრობ შედეგის მომტანი. ასევე სტატიაში ვსაუბრობ, რომ ბარიატრიული ქირურგიული ოპერაციები გაიზარდა იმ ქალებში, რომლებსაც სურთ დაორსულება და ქარბი წონა ამის საშუალებას უზღუდავს, ორსულობაც ხშირად მიღწევადია, მაგრამ აქ მნიშვნელოვანია ორსულობა რამდენი თვის შემდეგ დადგა, როგორ მიმდინარეობდა მისი კვების საკითხი. ჩემთვის როგორც პედიატრი, ნუტრიციოლოგისთვის მნიშვნელოვანია დაკვირვება იმ ახალშობილებზე, რომლებიც გააჩინა დედამ აღნიშნული ოპერაციის შემდეგ. კვლევის შესახებ ვსაუბრობ სტატიაში.

SUMMARY

NUTRITION, CARE AND HYGIENE OF PREGNANT WOMEN. BARIATRIC SURGERY AND PREGNANCY.

N. TOTADZE

(Georgia, Tbilisi)

Nutrition, care and hygiene of a pregnant woman.

A healthy, balanced diet of a pregnant woman is important for the full development of the fetus, mainly pregnant women receive the mentioned recommendations from gynecologists, because consulting a nutritionist is less mandatory at this stage still in our country, so I created a medical booklet that will be available for them, easy to understand and I think will bring results. I also talk in the article that bariatric surgical operations have increased among women who want to get pregnant and being overweight prevents it, pregnancy is often achievable, but here it is important how many months later the pregnancy occurred, how her nutrition was going. For me, as a pediatrician, it is important for a nutritionist to observe the newborns that the mother gave birth to after the mentioned operation. I talk about the research in the article.

კიბოს ლამარცხების გასაღები პაციენტის იმუნურ სისტემაში უნდა ვეძებოთ

ვილი პაჭკორია

მედიცინის დოქტორი, საქართველოს ჰუმანიტარულ და სახელოვნებო აკადემიის ნამდვილი წევრი

მსოფლიო მედიცინის თანამედროვე სამეცნიერო კვლევები და მიღწევები მიუთითებს იმაზე, რომ კიბოს უჯრედი – დამარცხებადია, მიუხედავად მისი ეტიოპათოგენეზის, მორფოლოგიური სტრუქტურისა და ლოკალიზაციისა, რაც ამავე დროს მეტყველებს იმაზე, რომ უახლოეს პერსპექტივაში კიბო არ იქნება პაციენტის „სასიკვდილო განაჩენი“. ხაზგასმით შეიძლება ითქვას, რომ ავთვისებიანი სიმსივნური პათოლოგიის, ამ ვერაგი დაავადების საბოლოოდ დამარცხების გასაღები – თავად პაციენტის იმუნურ სისტემაში უნდა ვეძებოთ.

ცნობილია, რომ სიმსივნური უჯრედები ანტიგენურად განსხვავდება შესაბამისი ნორმალური უჯრედებისაგან, გამომდინარე აქიდან სიმსივნური უჯრედები იწვევს ორგანიზმის იმუნური ზედამხედველობის მეშვეობით, სიმსივნურ ანტიგენზე მიმართულ იმუნურ რეაქციას, სადაც ძირითად როლს ასრულებს ლიმფოციტები.

სიმსივნის სანინაალმდეგო უჯრედული და ჰუმორული იმუნიტეტის მკვეთრად გამოხატული უკმარისობა ვლინდება ონკოლოგიურ ავადმყოფთა უმრავლესობაში, რაც უმეტესწილად განპირობებულია T- და B – ლიმფოციტე-

ბის დეფექტით, თიმუსის აპლაზიით, ჰიპოგამაგლობულინემიით და იმუნოდეპრესიით. სტატისტიკურად ცნობილია, რომ იმუნოდეფიციტის მემკვიდრეობითი დეფიციტის მქონე ადამიანებში ონკოლოგიური დაავადების სიხშირე 10000-ჯერ მეტია საერთო პოპულაციის შესაბამისი ასაკის ადამიანებთან შედარებით.

სიმსივნის იმუნოთერაპია წარმოადგენს კვლევის აქტუალურ და გაფართოებად არეალს, რომელმაც შესაძლოა შეცვალოს შეხედულებები სიმსივნის მკურნალობის შესახებ. იმუნური ბიოლოგიისა და იმის ცოდნა, თუ როგორ შეგვიძლია გავაძლიეროთ ორგანიზმი სიმსივნესთან საბრძოლველად, გვაძლევს ოპტიმიზმის მიზეზს ამჟამად და ახლო მომავალში.

„რომის“ სიმსივნის იმუნოთერაპიის განვითარების გლობალურმა ხელმძღვანელმა – დენიელ ჩენიმ 1993 წელს გამოაქვეყნა სტატია ჟურნალში, სადაც აღწერდა თუ, როგორ ახდენდა თავის ორგანიზმში ინექციის გზით შეყვანილი გენეტიკურად მოდიფიცირებული და შესუსტებული მელანომის უჯრედები იმუნური მასტიმულირებელი ფაქტორების სეკრეციას და ამ გზით შესაძლებელს ხდიდა დაეცვა ორგანიზმი მელანომის ზრდისგან მომავალში.

მრავალი ათწლეულის განმავლობაში, მკვლევარები ცდილობდნენ სიმსივნის მკურნალობის ახალი მეთოდების შექმნას. ისინი ფოკუსირდებოდნენ სიმსივნის ანთხროსულ ბუნებაზე (გადაგვარებული უჯრედების სწრაფი ზრდა, გენური მუტაციები), რაც, მათ განაღებდა ჯანმრთელი უჯრედების გვერდით. მაგრამ ახლა, ნაცვლად ამისა, მრავალი მეცნიერი ცდილობს ნორმალური პროცესების ეფექტურობის გაზრდას, რაც გულისხმობს – იმუნური სისტემის მიერ სიმსივნური უჯრედების ამოცნობასა და მათ ელიმინაციას.

1890 წ. ნიუ-იორკელმა ქირურგმა უილიამ კოლიმ თავის პაციენტებს, სიმსივნისგან განკურნების მიზნით, ორგანიზმში ბაქტერიების შეყვანა დაუწყო (შემდგომში მას უწოდეს – „კოლის ტოქსინი -1“), შედეგად წარმოჩნდა პირველი მტკიცებულებები იმისა, რომ იმუნური სისტემის სტიმულირება აიძულებს სიმსივნეს შემცირდეს ზომაში ან სულაც აღაგდეს. აღნიშნული კვლევებით დადასტურდა, რომ იმუნური სისტემა ჩართულია ბძოლაში მრავალფეროვან და კომპლექსურ გამომწვევთან, მაგრამ შემდგომში სხვა მეცნიერებმა კოლის შედეგები არ გაიზიარეს, ხოლო რადიოთერაპიის და ქიმიოთერაპიის აღმოჩენებმა (ორივე მიმართულება ანადგურებს სწრაფად მზარდ უჯრედებს) მალე საერთოდ დაჩრდილა ისინი.

სწრაფად მზარდ უჯრედებზე მიზანმიმართულ მოქმედებას ნაკლოვანებები მაინც გააჩნია, სიმსივნური უჯრედების განადგურების პარალელურად, ის, ასევე, აზიანებს ჯანმრთელი უჯრედების გარკვეულ ნაწილს და შეიძლება გამოიწვიოს არასასურველი გვერდითი რეაქციები.

შედარებით ახალი მიდგომა სიმსივნესთან ბრძოლაში ფოკუსირდება გენურ მუტაციებზე, რომლებიც იწვევენ სიმსივნის არანორმალურ ზრდას. თარგეთული თერაპია, კერძოდ – მონოკლონურ ანტისხეულებზე დაფუძნებული ნამლები, შემუშავებულია ისე, რომ დაუკავშირდეს სიმსივნის ზედაპირზე არსებულ სპეციფიურ პროტეინებს, რომლებიც ხშირად ამ მუტაციების შედეგად ჩნდებიან. თუმცა, სიმსივნეს გააჩნია ადაპტაციის ძლიერი უნარი. მეტიც, თუ ვანადგურებთ სიმსივნური უჯრედების ნაწილს, ზოგიერთ სიმსივნურ უჯრედს მაინც შეუძლია განვითარდეს და გახდეს რეზისტენტული. იმუნური სისტემა ხშირად აღმოაჩენს მრავალ პროტეინს (ნაცვლად ერთი აბერანტული ცილისა) რაც ართულებს სიმსივნური უჯრედების გადარჩენას განადგურებისაგან.

იმუნურ სისტემას, ასევე, უნარი აქვს ე.წ. „მეხსიერების“ უჯრედების განვითარებისა, რომლებიც ამოიცნობენ და ანადგურებენ სიმსივნურ უჯრედებს, ჩატარებული სანყისი თერაპიიდან მრავალი წლის შემდეგაც (თუ სიმსივნე კვლავ დაინყებს ზრდას). იმუნური სისტემა ჯანმრთელ ადამიანებში მუდმივად ამოიცნობს და ახდენს მუტირებული უჯრედების ელიმინაციას, თუმცა, გაურკვეველი მიზეზებით, ეს ბუნებრივი მეთვალყურეობის სისტემა, ხანდახან ირღვევა და ვითარდება სიმსივნური წარმონაქმნი. იმუნოთერაპიის არსი მდგომარეობს განამტკიცოს და გააძლიეროს იმუნური სისტემის მუშაობის უნარი.

სიმსივნის ბიოლოგიასა და იმუნური სისტემის მუშაობაში გარკვევამ, დასაბამი მისცა სიმსივნის იმუნოთერაპიული მედიკამენტოზური საშუალებების შექმნას. ამ ტიპის ნამლების მიზანია დაემაროს იმუნურ სისტემას ამოიცნოს და შეებრძოლოს სიმსივნურ უჯრედებს. იმუნოთერაპიული საშუალებები ამას ახორციელებენ სხვადასხვა გზით: ზოგი ეძებს და აღკვეთს ანტიგენური უჯრედის სასიცოცხლო მექანიზმებს, ზოგიერთი კი, ახდენს იმუნური პასუხის სტიმულაციას. ჩვეულებრივ, იმუნური სისტემა T უჯრედების საშუალებით ეძებს და ახდენს უცხო უჯრედების (პოტენციური საფრთხის) ელიმინაციას, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში, ამ მუტირებულ უჯრედებს შეუძლიათ თავიდან აიცილონ იმუნური პასუხი, რაც მათ საშუალებას აძლევს გარდაიქმნან პათოლოგიურ წარმონაქმნებად.

ბოლო ათწლეულში კლინიკური კვლევებიდან საკონტროლო წერტილების ინჰიბიტორების შესახებ დადებითი შედეგები დაგროვდა. ზოგიერთი სიმსივნური უჯრედი თავის ზედაპირზე გამოიმუშავებს პროტეინს (ე.წ. საკონტროლო წერტილს), რომელსაც T უჯრედი აღიქვამს როგორც „მუხრუჭს“, საკონტროლო წერტილების (ჩექპოინთ) ინჰიბიტორები აბლოკირებენ სპეციფიურ პროტეინთან (როგორცაა PD-L1) კავშირს, რაც T უჯრედებს აძლევს საშუალებას ამოიცნონ და შეუტონ სიმსივნურ უჯრედებს. ცნობილი მეცნიერი ირა მელმანის („გენენტეკის“ სიმსივნის იმუნოლოგიის ვიცე-პრეზიდენტი) თქმით: „საკონტროლო წერტილების ინჰიბიტორები, ძირითადად, აღმოფხვრიან ამ მუხრუჭს“. ახალი ნამლები დამიზნებითად მოქმედებენ T უჯრედების სპეციფიურ ჯგუფზე, კონკრეტულად იმ უჯრედებზე, რომლებიც გააქტიურებულია სიმსივნური უჯრედების ამოსაცნობად და გასანადგურებლად.

2013 წელს ამერიკულმა ჟურნალმა „საიენსმა“ საკონტროლო წერტილების კვლევებიდან მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით, სიმსივნის იმუნოთერაპია აღიარა წლის მიღწევად, მაგრამ საკონტროლო წერტილების ინჰიბიტორებს ტრანსფორმაციული სარგებელი მოაქვთ მხოლოდ სიმსივნის პაციენტების 20-30%-თვის და ზოგიერთი სიმსივნე არც კი პასუხობს ამ პრეპარატებით მკურნალობას. იმის დადგენა, თუ რატომ ხდება იმუნური სისტემის მობილიზება სიმსივნის სანაღმდეგოდ ზოგიერთ პაციენტში, ხოლო ზოგში კი არა, წარმოადგენს თანამედროვე კვლევისა და განვითარების ძირითად კომპონენტს.

მიმდინარე პერიოდში მეცნიერები მუშაობენ შექმნან ახალი ნამლები, სიმსივნესპეციფიური პერსონალიზებული ვაქცინის გამოყენებით, რომლებიც ხელს შეუწყობენ პაციენტებში ისეთი იმუნური უჯრედების გამოიმუშავებას, რომლებსაც გააჩნიათ სიმსივნის ამოცნობის მაღალი უნარი. ასევე, მუშაობენ ისეთი მედიკამენტის შექმნაზე, რომლებიც ასტიმულირებენ ე.წ. „სინთეზურ იმუნიტეტს“. ერთ-ერთი მაგალითია T-უჯრე-

დული ბისპეციფიური ანტისხეულები, რომლებიც შეიქმნა, რათა ერთი მხრიდან დაუკავშირდეს სიმსივნურ უჯრედზე არსებულ პროტეინს, ხოლო მეორე მხრიდან T-უჯრედზე არსებულ პროტეინს და, როგორც მაგნიტი – ერთმანეთთან მიზიდოს ისინი.

ცნობილი მეცნიერის – რობინ ტვილორის („რომის“ სიმსივნის იმუნოთერაპიის ვიცე-პრეზიდენტი) თქმით: „ამჟამად, ვიმყოფებით სიმსივნის მკურნალობის ისტორიის საინტერესო ეტაპზე, ჩვენ საბოლოოდ შეგვიძლია გავერკვეთ იმაში, თუ როგორ ხდება იმუნური სისტემის მიერ სიმსივნის ამოცნობა. საბოლოო ჯამში, თუ ჩვენ გავაძლიერებთ ადამიანის საკუთარ იმუნურ სისტემას ისე, რომ მან არა მხოლოდ ამოიცნოს, არამედ შეუტეოს სიმსივნეს, ეს შესაძლებელს გახდის სიმსივნისგან ორგანიზმის მთლიანად განთავისუფლებას და ეს იქნება უძლიერესი მიღწევა.“ მისივე თქმით: „კიბოს მკურნალობა მომავალში მეტად იქნება მიმართული იმუნური სისტემის უნარზე – მოახდინოს სიმსივნის ერადიკაცია“.

წარმატებული „მომავლის იმუნოთერაპია“ უნდა იყოს კომბინაციაში რადიოთერაპიასთან, ქიმიოთერაპიასთან, თარგეთულ თერაპიასთან და მორგებული უნდა იყოს კონკრეტული პაციენტის ბიოლოგიაზე. შეიძლება ითქვას, რომ მსოფლიო მეცნიერება დგას სიმსივნის მკურნალობის ახალი ერის საზღვარზე. მკვლევარებმა ახლა უკვე დაიწყეს საუბარი განკურნების პოტენციალის შესახებ. „სამომავლოდ ვიმედოვნებთ, რომ სიმსივნის პაციენტს შეეძლება შევიდეს ექიმის კაბინეტში, აილოს ბიოფსია სიმსივნის კერიდან იმისათვის, რომ ჩვენ შეგვეძლოს გაგება, თუ რა ხდება მის იმუნურ პასუხში და შემდეგ ჩავატაროთ ზუსტად მასზე მორგებული თერაპია.“ ამბობს ცნობილი მეცნიერი დენიელ ჩენი.

მეცნიერთა საბოლოო მიზანია, მკურნალობის რეჟიმი მოერგოს თითოეული პაციენტის საჭიროებას, რაც ცნობილია როგორც სიმსივნის პერსონალიზებული

იმუნოთერაპია და იგი საბოლოოდ მისცემს საშუალებას იმუნურ სისტემას დაამარცხოს „მტერი“ – სიმსივნის სახით.

გამოყენებული ლიტერატურა:

REFERENCES:

1. i.nadiraZe; S.p.s. „sos“ -broker inTerneiSnI/ zogadi onkologia/ Tbilisi; 2007.;
2. Kyriakidis I., Vasileiou E., Rossig C. Invasive Fungal Diseases in Children with Hematological Malignancies Treated with Therapies That Target Cell Surface Antigens: Monoclonal Antibodies, Immune Checkpoint Inhibitors and CAR T-Cell Therapies. J. Fungi. 2021;
3. Kyriakidis I., Tragiannidis A. Invasive fungal infections in paediatric patients treated with macromolecular immunomodulators other than tumour necrosis alpha inhibitors. Mycoses. 2017;
4. Mikulska M., Lanini S., Gudiol C., ESCMID Study Group for Infections in Compromised Hosts (ESGICH) Consensus Document on the safety of targeted and biological therapies: An infectious diseases perspective (Agents targeting lymphoid cells surface antigens [I]: CD19, CD20 and CD52) Clin. Microbiol. Infect. 2018;
5. Cooper N., Arnold D.M. The effect of rituximab on humoral and cell mediated immunity and infection in the treatment of autoimmune diseases. Br. J. Haematol. 2010;
6. Rubenstein J.L., Hsi E.D., Johnson J.L., Jung S.-H., Nakashima M.O., Intensive Chemotherapy and Immunotherapy in Patients with Newly Diagnosed Primary CNS Lymphoma: CALGB 50202 (Alliance 50202) J. Clin. Oncol. 2013;
7. Thomas D.A., O'Brien S., Faderl S., Garcia-Manero G., et al. Chemoimmunotherapy With a Modified Hyper-CVAD and Rituximab Regimen Improves Outcome in De Novo Philadelphia Chromosome-Negative Precursor B-Lineage Acute Lymphoblastic Leukemia. J. Clin. Oncol. 2010;

რეზიუმე

კიბოს დამარცხების გასაღები პაციენტის იმუნურ სისტემაში უნდა ვეძებოთ

ვილი პაჭკორია

მედიცინის დოქტორი, საქართველოს ჰუმანიტარულ და სახელოვნებო აკადემიის ნამდვილი წევრი

შეიძლება ითქვას, რომ მსოფლიო მეცნიერება დგას სიმსივნის მკურნალობის ახალი ერის საზღვარზე. მკვლევარებმა ახლა უკვე დაიწყეს საუბარი განკურნების პოტენციალის შესახებ. წარმატებული „მომავლის იმუნოთერაპია“ და მკურნალობის რეჟიმი მორგებული უნდა იყოს კონკრეტული პაციენტის ბიოლოგიაზე, რაც ცნობილია როგორც სიმსივნის პერსონალიზებული იმუნოთერაპია და იგი საბოლოოდ მისცემს იმუნურ სისტემას საშუალებას მოახდინოს სიმსივნის ერადიკაცია.

თანამედროვე სამეცნიერო კვლევები და მიღწევები მიუთითებს იმაზე, რომ კიბოს უჯრედი – დამარცხებადია და უახლოეს პერსპექტივაში კიბო არ იქნება პაციენტის „სასიკვდილო განაჩენი“. ხაზგასმით შეიძლება ითქვას, რომ ავთვისებიანი სიმსივნური პათოლოგიის საბოლოოდ დამარცხების გასაღები – თავად პაციენტის იმუნურ სისტემაში უნდა ვეძებოთ.

SUMMARY

THE KEY TO DEFEATING CANCER MUST BE FOUND IN THE PATIENT'S IMMUNE SYSTEM

VILI PACHKORIA

MD.,PhD, full member of the Academy of Humanities and Arts of Georgia

It can be said that world science stands on the frontier of a new nation of cancer treatment. Researchers have now begun to talk about the potential for a cure. Successful „immunotherapy of the future” and treatment regimens will need to be tailored to the specific patient's biology, known as personalized tumor immunotherapy, and will ultimately allow the immune system to eradicate the tumor.

Modern scientific research and achievements indicate that the cancer cell can be defeated and that it should not be a death sentence for a cancer patient in the near future. We can emphatically say that the key to the final defeat of malignant tumor pathology must be found in the patient's own immune system.

კლინიკური ანატომიის ტერმინოლოგიური ლექსიკონის ვიზუალიზაცია თანამედროვე მედიცინაში

ვილი პაჭკორია

კლინიკური ანატომი, მედიცინის დოქტორი,
საქართველოს ჰუმანიტარულ და სახელოვნებო აკადემიის ნამდვილი წევრი

სამედიცინო მეცნიერება გახლავთ ინტენსიურად განვითარებადი, ცოცხალი ორგანიზმი, რომლის წიაღში ყოველდღიურად ჩნდება ახალი მიღწევები და მეთოდები, რომლებიც ორიენტირებულია დაავადებათა ზუსტ და დროულ დიაგნოსტიკაზე, ეფექტურ მკურნალობაზე, პროფილაქტიკურ და პრევენციულ ღონისძიებებზე. ექიმის პრაქტიკულ საქმიანობაში და მედიცინაში, როგორც მზარდად განვითარებად მეცნიერებაში, ეტაპობრივად გვხვდება, ახალი სამედიცინო ტერმინები, რომლებიც ფართოდ გამოიყენება, როგორც დიაგნოსტიკურ, ისე სამკურნალო მიმართულებით. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე დადგა საჭიროება სამედიცინო ტერმინოლოგიის განახლებული ლექსიკონის შექმნისა, რომელზედაც ზუთი წლის მანძილზე ვანარმობდით დაულალავ მუშაობას და საბოლოოდ 2024 წელს ჩამოვყალიბებთ იგი – კლინიკური ანატომიის ტერმინოლოგიური ლექსიკონის სახით.

კლინიკური ანატომიის ტერმინოლოგიური ლექსიკონი, გახლავთ დამხმარე საცნობარო გამოცემა მორფოლოგიურ ლიტერატურაში, მასში, საერთაშორისო ნომენკლატურის შესაბამისად, ლათინურ-ქართულ-ინგლისურ-რუსულ ენებზე, მოცემულია 9500-მდე სამედიცინო და კლინიკური ანატომიის ტერმინი (ანატომიური, კლინიკური, ანთროპომეტრიული, ჰისტოლოგიური, ემბრიოლოგიური და სხვა), ისინი განლაგებული არიან ალფაბეტიკური თანმიმდევრობით, რაც პრაქტიკულად ამარტივებს საძიებო ტერმინზე მუშაობის პროცესს. ნაშრომის მიზანია სტუდენტებს, რეზიდენტებს, ექიმებს და სხვა მომიჯნავე ჰუმანიტარული დარგის სპეციალისტებს დაეხმაროს ინტერლინგუური კონტაქტების დამყარებაში, კლინიკური და ანატომიური ტერმინების სწორად ჩამოყალიბებაში და პრაქტიკულ გამოყენებაში.

კლინიკური ანატომიის ტერმინოლოგიას განსაკუთრებული ადგილი უკავია საერთო სამედიცინო ტერმინოლოგიაში, თანამედროვე ცივილიზაციას სამედიცინო და ანატომიური ტერმინოლოგია ისტორიული წარსულის ფესვებიდან შემორჩა. ერთიანი საერთაშორისო ანატომიური ტერმინოლოგიის შესახებ საკითხი პირველად განიხილეს 1895 წელს ქალაქაზელში, გერმანელ ანატომთა კონგრესზე, სადაც ვ.ჰისის ხელმძღვანელობით გამოქვეყნდა – „ბაზელის ანატომიური ტერმინოლოგია“ (BNA), მასში დამატებები და შესწორებები შევიდა 1935 წელს იენში ჩატარებულ ანატომთა კონგრესზე (INA), ხოლო 1955 წელს პარიზში გამართულ ანატომთა VI საერთაშორისო კონგრესზე მიიღეს ახალი ანატომიური ნომენკლატურა (PNA). პარიზის ნომენკლატურაში შემდგომი შესწორებები და დამატებები შეტანილი იქნა 1960 წელს ნიუ-იორკში, ხოლო 1965 წელს ვისბადენში. 1998 წელს გამოქვეყნდა ახალი საერთაშორისო ანატომიური ტერმინოლოგია.

ქართული ანატომიური ტერმინოლოგიის შექმნაში დიდი წვლილი მიუძღვით XX საუკუნის გამოჩენილ ქართველ მეცნიერებს და საზოგადო მოღვაწეებს: აკადემიკოს ალექსანდრე ნათიშვილს, პროფესორებს – ივ.თიკანაძეს, მ. ზაალაშვილს, ვუკ.ბერიძეს, გრ.მუხაძეს, სპ.ვირსალაძეს, ნიკ.ჯავახიშვილს, ვ.მუსხელიშვილს, ზ.მაისურაძეს.

საქართველოში პერიოდულად ქვეყნდებოდა სამედიცინო და ანატომიური ტერმინოლოგიის შესახებ ნაშრომები, მათ შორის:

1930 წელს ალ.ნათიშვილმა გამოსცა სამედიცინო – „ნორმალური ანატომიის ტერმინოლოგია“;

1947 წელს ქართული სამედიცინო და ანატომიური ტერმინოლოგიის ერთერთი ფუძემდებლის პროფესორ ზაქ.მაისურაძის მიერ შედგენილი და გამოცემულია რუსულ-ქართულ-ლათინური – „სამედიცინო ტერმინოლოგია“;

1976 წელს ლეონარდო შელიას მიერ გამოქვეყნდა – „საერთაშორისო ანატომიური ნომენკლატურა“, ხოლო 1979 წელს, მისივე ავტორობით – „ანატომიური ტერმინების განმარტებითი ლექსიკონი“;

1979 წელს გამოიცა ზ.მაისურაძის – „საერთაშორისო ანატომიური ნომენკლატურა“;

1989 წელს ლ.შელიამ და კ.გუნიამ გამოაქვეყნეს – „დასურათებული ანატომიური ტერმინოლოგია“;

1997 წელს მ.კორძიას, ლ.შელიას და მ.ჭიჭინაძის ავტორობით გამოიცა – „ანატომიური, ჰისტოლოგიური, ემბრიოლოგიური ტერმინოლოგია“;

2009 წელს აკადემიკოს ნინო ჯავახიშვილის რედაქტორობით, პროფესორმა ნ.მამფორიამ შეადგინა და გამოსცა პირველად საქართველოში ლათინურ-ქართულ-რუსულ-ინგლისური – „საერთაშორისო ანატომიური ნომენკლატურა“.

სწორედ ამ ღვაწლმოსილი მეცნიერების ნაშრომებისა და მსოფლიო თანამედროვე ლიტერატურის საფუძველზე შეიქმნა წინამდებარე ნაშრომიც, ოთხენოვანი – „კლინიკური ანატომიის ტერმინოლოგიური ლექსიკონი“

თანამედროვე ანატომიური ტერმინოლოგია სრულად შეესაბამება საერთაშორისო ანატომიური ნომენკლატურის



მოთხოვნებს (სან-პაულო, 1998წ.). ბაზელის ანატომიური ნომენკლატურის მიღებიდან – დღემდე, აქტიურად მიმდინარეობს ანატომიური ტერმინოლოგიის მუდმივი სრულყოფა. აღნიშნული პროცესი გარეგნულად გამოიხატება ანატომიური ტერმინების რაოდენობის ზრდაშიც, მაგალითად: 1895 წლის ბაზელის ნომენკლატურაში იყო მოცემული 4286 ტერმინი, 1955 წლის პარიზის ანატომიური ნომენკლატურა შეიცავდა 5640 ტერმინს, ხოლო 1998 წელს გამოქვეყნებული საერთაშორისო ანატომიური ტერმინოლოგია შეიცავდა 7428 ტერმინს. აღნიშნული პროცესი ობიექტურად მეტყველებს ანატომიური მეცნიერების და მისი კომპონენტების მუდმივ განვითარებაზე.

კლინიკური ანატომია სწავლობს ადამიანის სხეულის მიდამოებს, ორგანოების აგებულებას, სტრუქტურას, პროექციას, სინტოპიასა და ჰოლოტოპიას – ნორმისა და პათოლოგიის პირობებში. პრაქტიკულ მედიცინაში მრავალ ანატომიურ ტერმინთან ერთად, გამოიყენება სპეციფიკური კლინიკური ტერმინები, რომელთა ერთობლიობა შეიძლება განისაზღვროს, როგორც კლინიკურ-ანატომიური.

კლინიკური ანატომიის ტერმინოლოგია მოიცავს ტერმინოლოგიური სისტემების ფართო კომპლექსს, რომელიც აერთიანებს დაავადებულ ორგანიზმთან დაკავშირებულ საკითხთა მთელ სპექტრს (პათოლოგიური პროცესების და პირობების დასახელებას, გამოკვლევის მეთოდები და დიაგნოსტიკა, სამედიცინო მანიპულაციები და ქირურგიული ჩარევა, მონეობილობები და ხელსაწყოები და ა.შ.), იგი მდიდარია ბერძნულ-ლათინური წარმოშობის სიტყვებით, რომელთა შორის ჭარბობს ბერძნული ფორმატები. ბერძნული წარმოშობის სიტყვები თითქმის ყველა კლინიკური დისციპლინის ტერმინოლოგიური საფუძველია. ექიმები, თავიანთ საქმიანობაში, აქტიურად იყენებენ სამედიცინო ტერმინებს – „მედიცინის მუშაკთა

პროფესიულ ენას“, რაც მიუხედავად მათი განსხვავებული ეროვნებისა, გახლავთ უნივერსალური და გასაგები.

ზემოხსენებულ ნაშრომში მოცემულ ტერმინთა უმრავლესობას თან ერთვის მოკლე განმარტებები სამედიცინო ტერმინების ენციკლოპედიური ლექსიკონიდან (2001). ანატომიური ტერმინები თითქმის სრულად არის მოცემული, ხოლო კლინიკური ტერმინები ნაწილობრივ, რაზედაც საჭიროა შემდომში საშუალების გაგრძელება. ნაშრომი, განკუთვნილია ყველა სპეციალისტის პრაქტიკოსი ექიმისა და მკვლევარისთვის, ასევე სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის, რეზიდენტებისთვის, ბიოლოგიისა და ჰუმანიტარული დარგის სპეციალისტებისთვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

REFERENCES:

- ნ. მამფორია /საერთაშორისო ანატომიური ნომენკლატურა - NOMINA ANATOMICA / „მედიცინა“, თბილისი, 2009; დაავადებების საერთაშორისო კლასიფიკაცია (ICD 10) /მეათე გადახედვა /ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია - 2010;
- Левушкина Л. В., Фомина М. Г. / Международная анатомическая терминология / „Медицина“, Москва, 2003;
- Feneis H. / NOMENCLATURA ANATOMICA ILLUSTRADA / Elsevier España, S.L.U., 2006
- International Classification of Diseases 10th Revision (ICD-10) / DEPARTMENT OF HEALTH AND HUMAN SERVICES / Centers for Disease Control and Prevention • National Center for Health Statistics, Washington, USA, 2003.
- International Classification of Primary Care, 2nd edition (ICPC-2) / World Health Organization / Geneva, Switzerland. 2003.

რეზიუმე

კლინიკური ანატომიის ტერმინოლოგიური ლექსიკონის მნიშვნელობა თანამედროვე მედიცინაში

ვილი პაჭკორია

კლინიკური ანატომი, მედიცინის დოქტორი, საქართველოს ჰუმანიტარულ და სახელოვნებო აკადემიის ნამდვილი წევრი

ექიმის პრაქტიკულ საქმიანობაში და მედიცინაში, როგორც მზარდად განვითარებად მეცნიერებაში, ეტაპობრივად გვხვდება, ახალი სამედიცინო ტერმინები, რომლებიც ფართოდ გამოიყენება, როგორც დიაგნოსტიკურ, ისე სამკურნალო მიმართულებით. კლინიკური ანატომიის ტერმინოლოგიური ლექსიკონი, გახლავთ 2024 წლის, დამხმარე საცნობარო გამოცემა მორფოლოგიურ ლიტერატურაში, მასში, საერთაშორისო ნომენკლატურის შესაბამისად, ლათინურ-ქართულ-ინგლისურ-რუსულ ენებზე, მოცემულია 9500-მდე სამედიცინო და კლინიკური ანატომიის ტერმინი (ანატომიური, კლინიკური, ანთროპომეტრიული, ჰისტოლოგიური, ემბრიოლოგიური და სხვა), ისინი განლაგებული არიან ალფავიტიური თანმიმდევრობით, რაც პრაქტიკულად ამარტივებს საძიებო ტერმინზე მუშაობის პროცესს. ნაშრომის მიზანია სტუდენტებს, რეზიდენტებს, ექიმებს და სხვა მომიჯნავე ჰუმანიტარული დარგის სპეციალისტებს დაეხმაროს ინტერლინგვისური კონტაქტების დამყარებაში, კლინიკური და ანატომიური ტერმინების სწორად ჩამოყალიბებაში და პრაქტიკულ გამოყენებაში.

SUMMARY

THE MEANING OF THE TERMINOLOGICAL DICTIONARY OF CLINICAL ANATOMY IN MODERN MEDICINE

VILI PACHKORIA

MD.,PhD, full member of the Academy of Humanities and Arts of Georgia

The Glossary of Clinical Anatomy Terminology, 2024, is a helpful reference publication in the field of morphological literature. In adherence to international nomenclature standards, it comprises approximately 9500 medical and clinical anatomy terms, including anatomical, clinical, anthropological, histological, embryological, and other terms, presented in Latin, Georgian, English, and Russian languages. These terms are organized alphabetically, greatly facilitating the search process. The purpose of this manual is to assist students, residents, doctors, biologists, and other specialists in related humanitarian fields in establishing interlinguistic contacts, correctly forming clinical and anatomical terms, and utilizing the 'professional language of medical workers' in practice.

სხვადასხვა

განათლების სისტემა ამერიკულად

შეუძლებელია აღფრთოვანება არ გამოიწვიოს აშშ-ის განვითარების ტემპებმა, ამ ქვეყანაში ყველაფერი ეფუძნება ცოდნას, პრაქტიკას და, რაც მთავარია, თავისუფალ, კონკურენტულ გარემოს, რაც, თავის მხრივ, მოქალაქეების ღირსეულ და ჰარმონიულ წინსვლას უზრუნველყოფს. ორივე წლის წინ ჩემმა მეგობარმა ნიკა რურუამ, ჩემთვის მოულოდნელად, ერთ-ერთი დებატის დროს ივერიელეს გაგვიზიარა თავისი სანუკვარი მიზანი – საქართველოში განათლების სისტემის რეფორმირება. სიმართლე გითხრათ, იმ მომენტში ჩავთვალე, რომ ეს ვერ იქნება პრიორიტეტი ურთულეს მდგომარეობაში მყოფი ქართული სახელმწიფოსათვის, მაგრამ რაც დრო გადის, ვრწმუნდები, რომ ჩვენი ქვეყნის გადარჩენა, წინსვლა და წარმატებები განათლებაშია. ამერიკის განათლების სისტემა ერთ-ერთი ყველაზე ძვირია მსოფლიოში, ამასთან, წერა-კითხვა მოსახლეობის 99%-მა იცის. ამერიკელები ბევრს იხდიან სწავლაში, რითაც იმავდროულად თავიანთ მომავალ ხელფასს ზრდიან.

აშშ-ში 138 180 სკოლაა:

- 1) აქედან 71.15% სახელმწიფო სკოლაა, სწავლა უფასოა, ერთ მასწავლებელზე მოდის 16 მოსწავლე.
- 2) 24,5% სკოლებისა კერძოა, სწავლის საფასური 6000-იდან 60 000 აშშ დოლარამდეა წელიწადში, ერთ მასწავლებელზე მოდის 11 მოსწავლე.
- 3) 4,35% ე. წ. ჩარტერული სკოლებია, რომლებსაც ასევე სახელმწიფო აფინანსებს; მათ შეუძლიათ მოიზიდონ კერძო ინვესტორებიც. სწავლა უფასოა, თუმცა აუცილებელია მონაწილეობა ე. წ. ლატარეის გათამაშებაში, ან მისალეები გამოცდის ჩაბარება. ერთ მასწავლებელზე მოდის 13 მოსწავლე.
- 4) 12 000 აშშ დოლარს ხარჯავს საშუალოდ წლიურად თითოეულ მოსწავლეზე მთავრობა (ნიუ-იორკში – 20 000 \$ და იუტაში – 7 000\$).
- 5) 3% ამერიკელი ბავშვებისა განათლებას სახლის პირობებში იღებენ, მათი ნაწილი შეზღუდული შესაძლებლობების მქონეა, ნაწილი კი – რელიგიური მრწამსის გამო.

კოლეჯი, უნივერსიტეტი

- 5-7 წელი – დოქტორი (DOCTORATE DEGREE OR PHD) აშშ-ის განათლების სისტემის უმაღლესი საფეხურია დოქტორის ხარისხი, რომელიც პრეტენდენტს ენიჭება სპეციალურ დისციპლინებში გამოცდების ჩაბარებისა და დისერტაციის დაცვის შემდგომ, რომელიც დამოუკიდებელ კვლევებს ეფუძნება.
- 1-3 წელი – მაგისტრი (MASTERS DEGREE) ამ პერიოდში ხდება სასწავლო დისციპლინების სიღრმისეული შესწავლა, სამეცნიერო ნაშრომების შექმნა, კვლევები; იმისთვის, რომ მაგისტრი გახდეთ, აუცილებელია დამატებით ე. წ. 30 კრედიტის დაგროვება.
- 4-5 წელი – ბაკალავრი (BACHELOR'S DEGREE) პირველი ორი წელი ისწავლება საერთო დისციპლინები სიღრმისეული სპეციალიზაციის გარეშე; სტუდენტს ირჩევს შესაბამის სასწავლო კურსებს იმისთვის, რომ კრედიტების საჭირო რაოდენობა (120 კრედიტი) დააგროვოს.

მაღალი სკოლა (HIGH SCHOOL)

(IX-XII კლასები, 13-იდან 19 წლამდე)

არსებობს აკადემიური, პროფესიული და მრავალპროფილური სასწავლებლები. სტუდენტები აბარებენ

ე. წ. აკადემიური შეფასების ტესტს (SAT) და იღებენ შესაბამის დიპლომს. ეს შეფასება ავტომატურად იგზავნება შტატის ყველა უნივერსიტეტში. მისალეები გამოცდები უნივერსიტეტში არ ბარდება, გამორჩეულ სტუდენტებს ენიშნებათ სტიპენდია. 14 წლის ასაკიდან აშშ-ში მუშაობა დაშვებულია. ამერიკულ არმიას ვერ იმსახურებ, თუ სკოლა არ გაქვს დამთავრებული.

საშუალო სკოლა (MIDDLE SCHOOL)

(VI-VIII კლასები, 11-იდან 14 წლამდე)

აუცილებელი დისციპლინები: ინგლისური ენა, მათემატიკა, სოციალური დისციპლინების ბლოკი, ფიზიკური კულტურა; დამატებით მოსწავლეები ირჩევენ 1-2 საგანს. დამთავრებისთანავე ბარდება ტესტები. თუ ინტელექტის ტესტის შედეგები 70-ზე დაბალია, რეკომენდებულია სწავლის გაგრძელება პროფესიულ სკოლაში.

სკოლამდელი განათლება (PRESCHOOL)

(3-4 წელი)

ამ ეტაპს გადის ბავშვების 53%. ამ დროს სწავლობენ ალფაბეტს და ციფრებს. ნიუ-იორკში 4 წლის ბავშვის სკოლამდელი მომზადება კვირაში დაახლოებით 350 აშშ დოლარი ჯდება.

მასწავლებლების ხელფასები:

1. 44 800 აშშ დოლარი – საშუალო წლიური ხელფასი აშშ-ში
2. 39 000 აშშ დოლარი – წლიური ხელფასი სამხრეთ დაკოტაში
3. 90 000 აშშ დოლარი – წლიური ხელფასი ნიუ-იორკში

საინტერესო სტატისტიკა

1. ყველაზე მეტი, 362 ნობელის პრემიის ლაურეატი აშშ-ის წარმომადგენელია, კონკურენტის განგება შეუძლია გაერთიანებული ევროპის ყველა ქვეყანას ერთად აღებულს.
2. აშშ-ის უმაღლესი სასწავლებლები მსოფლიოს საუკეთესო უნივერსიტეტების ტოპ-50-ში შედის, მათგან 7 უნივერსიტეტი პირველ ათეულშია.
3. 48% მსოფლიო აღმოჩენებისა აშშ-ზე მოდის.
4. 40 000 ამერიკელი იცავს ყოველწლიურად დოქტორის ხარისხს.

წლიური საშუალო ხელფასი

- დოქტორის – 100 000 აშშ დოლარი
- მაგისტრის – 60 000 აშშ დოლარი
- ბაკალავრის – 47 000 აშშ დოლარი
- სკოლადამთავრებულის – 23 000 აშშ დოლარი
- სასკოლო განათლების გარეშე – 10 000 აშშ დოლარი

ყველაზე ძვირი

1. სამედიცინო განათლება – 40 000-70 000 აშშ დოლარი
2. სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლა – 28 000 აშშ დოლარამდე
3. კერძო უნივერსიტეტში სწავლა – 41 000 აშშ დოლარამდე

აკადემიკოსი
გივი კუპლაშვილი

ცენტრალური აზია - მოკლე ისტორიული მიმოხილვა

ცენტრალური აზიის რეგიონი დასავლეთ ჩინეთიდან კასპიის ზღვამდე და სამხრეთ რუსეთიდან ინდოეთის ჩრდილოეთამდეა გადაჭიმული. საბჭოთა პერიოდში მას შუა აზიას უწოდებდნენ, თუმცა დღემდე კონკრეტულად არ არის განსაზღვრული არც მისი სახელწოდება და არც საზღვრები. შედეგად, არავის შეუქმნია ევრაზიის ამ კონკრეტული ნაწილის ისტორიული აღწერა. პირველ რიგში ძნელია რეგიონის ისტორიის შექმნა, რადგანაც სპეციალისტები ცდილობენ ერთ განსაზღვრულ ქვეყანაზე მოახდინონ ფოკუსირება. გარდა აღნიშნულისა, ცენტრალური აზიის უზარმაზარ ტერიტორიაზე რთული იყო ერთი რომელიმე ქვეყნის იდენტიფიკაცია მე-20 საუკუნის 90-იან წლებამდე.

ასევე, საუკუნეების მანძილზე, რეგიონი მოქცეული იყო სხვადასხვა იმპერიების ფარგლებში. წინა საუკუნის მეორე ნახევარში კი ცენტრალური აზია მოექცა ერთის მხრე საბჭოთა კავშირისა და მეორეს მხრივ ჩინეთის (სინძიან-უიღურების ავტონომიური ოლქი) საზღვრებში, რამაც გააძლიერა იზოლაცია და უფრო რთული გახდა მსოფლიოს მკვლევარებისთვის რეგიონის შესწავლა.

სრულიად უცნობია ცენტრალური აზია ქართველების დიდი ნაწილისათვის, მიუხედავად მჭიდრო ისტორიული, კულტურული და ძალიან ხშირად პოლიტიკური კავშირებისა, რომლებმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს საქართველოს დღევანდელი სახით ჩამოყალიბებაში. პროცესი დღესაც გრძელდება და ჩვენი ორი რეგიონის თანამედროვეობა ისევ გადაჯაჭვულია ერთმანეთს.

კულტურულ-ეთნიკური მრავალფეროვნებისა და საუკუნეების მანძილზე მოძრავი საზღვრების მიუხედავად, არსებობის უმეტეს პერიოდში რეგიონი ემორჩილებოდა რამოდენიმე ფაქტორს. პირველ რიგში ბუნებრივი პირობები იძულებულს ხდიდნენ ადგილობრივ ხალხებს შეექმნათ მდინარეებთან (სირდარია და ამუ-დარია) ახლოს მდებარე ქალაქები. იგივე პირობები (მშრალი სტეპები) ხელს უწყობდა ცხენებით მომთაბარე ტომებს ებატონათ რეგიონში. და რაც მთავარია: ზემოაღნიშნულ ქალაქებზე, მდინარეებსა და მომთაბარეთა სტეპებზე გადიოდა ცნობილი „დიდი აბრეშუმის გზა“ და სულ ახლახანს აღმოჩენილი „დიდი ინდური გზა“. გაინტერესოს, რომ „დიდი ინდური გზა“ აბრეშუმის გზამდე ადრე გაჩნდა და ინდოეთიდან ცენტრალური აზიისა და კავკასიის გავლით, შავი ზღვის პორტების გამოყენებით ალოსავლეთის უდიდეს ნაწილს აკავშირებდა ევროპასთან. ნიშანდობლივია, რომ აღნიშნული გზის აღმომჩენია უზბეკეთის რესპუბლიკაში მოღვაწე, ქართული წარმოშობის აკადემიკოსი, ედვარდ რთველაძე, რომელიც პირველი იყო, ვინც შეძლო დაენერა ცენტრალური აზიის ქვეყნებისა და ცივილიზაციების, პირველ რიგში უზბეკეთის ისტორია.

დღესდღეობით ცენტრალური აზია შედგება ხუთი ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკისაგან: ყაზახეთი ჩრდილოეთით, ყირგიზეთი ჩრდილო-აღმოსავლეთით, ტაჯიკეთი სამხრეთ-აღმოსავლეთში, თურქმენეთი კასპიის ზღვიდან ამუდარიის შუა წელამდე და უზბეკეთი, რომელიც მოქცეულია ამუდარიასა და სირდარიას შორის (შუა საუკუნეებში მავერანაჰრის რეგიონი). თუმცა ისტორიული და კულტურული მახასიათებლების გათვალისწინებით ცენტრალურ აზიას ხშირად მიაკუთვნებენ მონღოლეთს, ავღანეთს, ჩრდილოეთ პაკისტანს, ჩრდილო-აღმოსავლეთ

ირანს, ჩრდილო-დასავლეთ, დასავლეთსა და სამხრეთ-დასავლეთ ჩინეთს, ცენტრალურ ჩინეთს, ტიბეტს, შიდა მონღოლეთსა და ციმბირის სამხრეთსაც.

ჩვენს ნელთალრიცხვამდე მე-8-7 საუკუნეებში შუა აზიაში სკვითები გამოჩნდნენ. მათ პირველებმა დატოვეს საგრძნობი კვალი რეგიონის ისტორიაში. თუმცა მათ შემდეგ მოსული სხვა მომთაბარეების მსგავსად მათ დიდხანს ვერ მოიკიდეს ფეხი ცენტრალურ აზიაში. აღსანიშნავია, რომ მათი ცივილიზაციის დაკნინებაში, ტომობრივი საზოგადოებისა და ქალაქების მაცხოვრებლებთან ასიმილაციის გარდა დიდი როლი მიუძღვის ალკოჰოლის გადაუტანლობას. იგივე პრობლემა გაუჩინდათ მონღოლებსაც, რამაც საგრძნობლად შეამოკლა მათი სიცოცხლის ხანგრძლივობა და შეასუსტა მათი მებრძოლი სულისკვეთება. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, დღესაც შუა აზიის ტერიტორიაზე მცხოვრებთათვის ალკოჰოლი ისევე რთული გადასამუშავებელია, როგორც ეს იყო ათასწლეულების წინათ. თუმცა, რეგიონში ისლამის გავრცელებამ გარკვეულწილად ხელი შეუწყო მდგომარეობის გაუმჯობესებას.

სკვითებს უწევდათ ბრძოლა სპარსელებთან, რომლებსაც აზიაში შემოყვინნ მაკედონელები. ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობებმა დღევანდელ ტაჯიკეთსა და ავღანეთს მიაღწიეს, სამხრეთით კი ინდოეთის ჩრდილოეთს. ალექსანდრეს იმპერიის დაშლის შემდეგ ცენტრალურ აზიაში სელევკიდების სახელმწიფო წარმოიქმნა. მანამდე არსებული ბაქტრიის ადგილას შეიქმნა ბერძნულ-ბაქტრიული სამეფო. ასევე არსებობდა ინდურ-ბერძნული სახელმწიფოც, რომლებსაც მოყვა კუშანების სახელმწიფო.

ძველი ნელთალრიცხვის მე-3 საუკუნეში, ცენტრალურ აზიაში გამოჩნდნენ ჰუნები, უფრო სწორად მათი წინაპრები, რომლებმაც ჩინური ჰანის სახელმწიფოსთან ბრძოლებში ამონურეს თავიანთი რესურსები და ევროპისკენ გადასახლდნენ. მათ მიგრაციას უიგურების თურქული ტომებიც დაეხმარნენ. უიგურები იყვნენ პირველი თურქულენოვანი ტომები ცენტრალურ აზიაში. მათ შექმნეს პირველი, არამეულზე დაფუძნებული რეგიონალური ანბანი. უიგურები გახდნენ სპარსეთისა და ჩინეთის დამაკავშირებლები. მათ შეიტანეს ისლამი ჩინეთში და ჩინური კულტურა გააცნეს სპარსელებს.

ჩვენი ნელთალრიცხვის მე-9 საუკუნისათვის ცენტრალურ აზიაში უკვე მყარად მოიკიდა ფეხი ისლამმა არაბი და სპარსი ვაჭრების წყალობით, რომლებიც აბრეშუმისა და ინდოეთის გზებს მიყვებოდნენ. მე-10 საუკუნესათვის ქალაქებში სამარყანდსა და ბუხარაში უკვე მეჩეთები შენდებოდა. თუმცა ამ დროისთვის სპარსეთისა და ჩინეთის დაკნინებამ რეგიონს დასავლეთისა და აღმოსავლეთის დამაკავშირებლის ფუნქცია დაუკარგა, რამაც თვითონ ცენტრალური აზია საკმაოდ უკან დახია.

მე-13 საუკუნიდან მონღოლებმა ახალი ბიძგი მისცეს ცენტრალური აზიის ქვეყნებს და მათ მოსაზღვრეებს, პირველ რიგში სპარსეთსა და ჩინეთს. მონღოლური იმპერია თვალუწვდენელ ტერიტორიას მოიცავდა, სადაც ცენტრალურ აზიას დაუბრუნდა კულტურათა დამაკავშირებლის ფუნქცია.

აღსანიშნავია, რომ მონღოლთა იმპერიის დაცემის შემდეგ ცენტრალური აზიის, როგორც ფუნქციონალური

რეგიონის როლი შესუსტდა. ჩინეთი მონღოლების შემდეგ გახდა იზოლირებული სახელმწიფო, რომელსაც ამინებდა ყველაფერი უცხოური. სპარსეთმა კი მე-16 საუკუნის დასაწყისში მიიღო ისლამის შიიტური ფორმა, რითაც ურთიერთობები გაფუჭდა დასავლეთსა და აღმოსავლეთით მდებარე მუსლიმანურ სახელმწიფოებთან. ხსენებული მოვლენებმა ცენტრალურ აზიას მნიშვნელობა დააკარგვინეს. რეგიონის სტაგნაციას დაეხმარა საზღვაო მარშრუტების განვითარება და შესაბამისად, ახალი სავაჭრო გზების შექმნაც.

მე-18 საუკუნისათვის რუსეთმა და ჩინეთმა განავითარეს სავაჭრო ურთიერთობები, თუმცა პროცესი საკმაოდ დაძაბულად მიდინარეობდა. ვერც ერთი და ვერც მეორე იმპერია ბოლომდე ვერ ენდობოდა ერთმანეთს. ორივე ცდილობდა ბუფერული ზონის შექმნას, რომლის ფუნქცია ისევე ცენტრალურ აზიას დაეკისრა. შედეგად ჩინეთმა მოიპოვა გავლენა რეგიონის აღმოსავლეთ ნაწილზე. რუსეთმა კი გაამყარა თავისი პოზიციები ჩინეთში. მე-19 საუკუნეში „დიდ თამაშში“ ბრიტანეთის იმპერიაც ჩაება, რომელიც თავისი მხრიდან ცდილობდა ბუფერის შექმნას ინდოეთსა და რუსეთს შორის. აღნიშნულმა გამოიწვია რუსეთის ცენტრალურ აზიაში ბოლომდე შესვლა. რუსეთის იმპერიის ფარგლებში რეგიონი შევიდა თურქესტანის სახელწოდებით, რომელიც მოიცავდა დღევანდელი ცენტრალური აზიის ხუთ ქვეყანას. ხსენებული მხარე შემდგომში საბჭოთა კავშირის შუა აზიურ რესპუბლიკებათ გადაკეთდა.

მე-19 საუკუნიდან მოყოლებული დღემდე ცენტრალური აზიის რეგიონი მოექცა რუსეთის, ჩინეთისა

და ბრიტანეთის გავლენის ქვეშ. 21-ე საუკუნეში ცენტრალურმა აზიამ ახალი მნიშვნელობა შეიძინა, როგორც საერთაშორისო ეკონომიკაში, ასევე უსაფრთხოების კუთხითაც. სატრანზიტო ფუნქციის გარდა მას დაემატა ენერგომატარებლების ექსპორტიორის ფუნქციაც.

რუსეთის იმპერიამ და შემდგომში საბჭოთა კავშირმა სამუდამოდ შეცვალეს ცენტრალური აზიის ხალხების ცხოვრების წესები და არსებული სახელმწიფოები, რომლებიც შეიქმნა სხვადასხვა ხალხებისა და კულტურების საფუძველზე. ბრიტანეთის მართულ ინდოეთში, პაკისტანსა და განსაკუთრებით ავღანეთში ჯერ კიდევ მიმდინარეობს სახელმწიფოების ბოლომდე ჩამოყალიბების პროცესები. ჩინურ უიგურების ოლქშიც შიგადაშიგ ხდება ავტონომიის ხარისხთან დაკავშირებული არეულობები. დღესაც გრძელდება ცენტრალური აზიის ზრდა და განვითარება და როგორც მრავალი საუკუნის წინ, დღესაც მრავალი მახასიათებლებით განსხვავებული მოთამაშეები ებრძვიან ერთმანეთს რეგიონში გავლენის მოპოვებისათვის.

უაღრესად მნიშვნელოვანია ქართულმა სახელმწიფომ გააღრმავოს და განავითაროს ის ურთიერთქმედება, რომელიც ჩამოყალიბდა დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ ცენტრალური აზიის ქვეყნებთან, განსაკუთრებით ბოლო წლებში, თუმცა გასათვალისწინებელია ის სპეციფიკა, რომელიც ახასიათებს რეგიონის ყველა ქვეყანას, აღმოსავლეთი შეცდომებს ძნელად პატიობს.

აკადემიკოსი
გივი კუზლაშვილი

ბამოსმაურება წიბნგა – „ჩვენ ღაბრუნდებით სოხუმს“

სეპირიან ნაღირაძე

„საქართველოს ჰუმანიტარულ და სახელოვნებო მეცნიერებათა აკადემიის“ საპატიო დოქტორი

მწერალ რევაზ კემულარიას ეკუთვნის შესანიშნავი კრებული: „ჩვენ დავუბრუნდებით სოხუმს!“, რომელიც ერთგვარად მისი სულის ბიოგრაფიაა. ფურცლავ კრებულს და მკითხველის თვალწინ იმლება მწერლის მღელვარე განცდებითა და ფიქრებით აღსავსე მოგონებები, სადაც გაიფიქრებს მანანწალა ძალი, რომელიც მიტოვებული მშობლიური ქალაქის ქუჩებში „მთვარის ნატერფალს“ ლოკავს და ამ ყველაფერს „შიმშილს ფერი“ დაჰკრავს. სადღაც გაისმის „სულის მუსიკასთან“ ერთად შერწყმული უკაცრიელი „ეზოს კარის“ ჭრიალი და „სავალი გზა შოლტივით შიგ გულში ურტყამს ავტორს. უდიდესი ტკივილია მშობლიური და საყვარელი სოხუმის დატოვება და იმის განცდა, რომ მოგწყვიტეს ფესვებს და „მოგისროლეს სამყაროდან ქვიშის ლილივით“ და ესაა წუთები ადამიანის ცხოვრებაში, როცა მას ავიწყდება დროში არსებობა და „თვით უფლის ღიმილიც“.

თუმცა, პოეტი თავს შემოუძახებს ხოლმე: „ჰეი, შენ, პოეტი, მეოცნებე!“ თითქოს, ერთგვარად დასციინის საკუთარ ხვედრს კიდევცა პარალელურად შედარებას ახდენს მოყრანტალე შავ ყვავთან. ერთი -ფუჭად ყრანტელეებს 300 წელი, მეორე კი-პოეტი, რომელიც მშვენიერების შეგრძნებით არსებობს.

მწერალმა იცის მარტოობის ფერი, რომელიც ყვავივით აშავებს ყველას, მაგრამ მას ასეთ დროს იპყრობს საოცარი სიმშვიდე, რადგან პოეტის სული საზღვრებსაა გადასული, გაფრენილი.

ალარა აქვს მნიშვნელობა ნარსულს, სადაც „შორს უიმედო ქარები“ დაძრწიან და სამარეა.

დაცემა და ნამოდგომა, უიმედობა და იმედი, უმოქმედობა და ბრძოლა, - ასეთ ორთაბრძოლას გადის ლირიკული გმირი თავის ცხოვრებაში და, რა გასაკვირია, რომ ნერვები ხშირად „დაჭიმული გიტარის სიმია“, რომელიც მხოლოდ „სევდიან მელოდის უკრავს და მღერის“. არ გაგიკვირდეს, მკითხველო, პოეტის სახეზე თუ არ ისახება ღიმილი:-მან ხომ სოხუმი დატოვა...ის ზღაპრული და ლამაზი ქალაქი! ახლა კი რაა? „თავი მოიკლა ზღვამ ნაპირთან და მიესვენა“. - გვეუბნება ავტორი და ამ წინადადებაში ჩატეულია ყველა ის ტრაგიზმი, რაც სოხუმს უკავშირდება.

პოეტი საოცარი მხატვრული ხერხებით გადმოგვცემს სამყაროს ტკივილს, ამ შემთხვევაში სოხუმისას, სადაც უკვე „შორს გაფრენილან თოლიები სველი მხრიდან“ და სადაც „ვიღაც ცალთვალა მზეს უბნელებს“ და დაბრუნების მოლოდინს ტანჯვად უქცევს.

გულში ჩამწვდომია პოეტის ხმამაღალი განცხადება, რომელმაც ერთხელ თავისდაუნებურად ამოხეთქა: „საათი მოვისხენი მაჯიდან და შორს მოვისროლე, რა მნიშვნელობა აქვს - რომელი საათია?“ „სანამ სოხუმში არ დავბრუნდები, ჩემთვის ყველა დრო თარსია!“...

ვინც იცნობს მწერალ რევაზ კემულარიას, დამეთანხმება, როგორი მგრძობიარე და ამავე დროს ძლიერი პიროვნებაა, შემქული ყველა ადამიანური ღირსებით. სამწუხაროდ, მის გულს დიდი ხანია არ განუცდია სიხარული და მისი თითოეული გათენებული დღე ცხოვრების ქარებთან შებრძოლება და წონასწორობის შენარჩუნებაა, რადგან მას დღემდე „მხრებით უჭირავს ნაქცეული ზეცა“, სადაც „თითქოს მშობიარობს სივრცე იმედებს და ნისლი აფენს ზენარს“. პოეტი საკუთარ თავს ნიჟარას ადრის, რომელიც მარტო რჩება ნაპირზე.

როგორია რეალობა? იქნებ აქ, ამჟამად მაინც შესაძლებელია სულის დავანება და სიმშვიდის მოპოვება? დადის პოეტი ქალაქის ფართო, მაგრამ ნაცრისფერ ქუჩებში და ნატრულობს ქათქათა თოვლს, რათა სისპეტაკემ, სისუფთავემ დაისადგუროს გარშემო, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ასე არაა. პოეტი ამბობს:

ვხედავ ქუჩაში შავი ქალები
ხელებს იშვერენ
და მათხოვრობენ”.

ეს რეალობა შემადრწუნებელია. სად უნდა იპოვოს პოეტის სულმა თავშესაფარი? სად არის იმედი? მოულოდნელად გაისმის როიალის ხმა და „ნაზამთრალ დღეთა სევდას სინაზით კურნავს ჰაერში ტაატიტ მოფარფატი თეთრი პეპელა.“ თეთრი პეპელა! პანანინა იმედი! და პოეტის წარმოსახვაში წამოტივიტივდება „მიმოზის რტოთა ღიმილი“, ოღონდაც სოხუმური მაინც და მაინც, სადაც ავტორს დარჩენია „ბავშვობის ნატერფალი“.

მწერალ რევაზ კემულარიას შემოქმედებაში გვხვდება ისეთი ლექსებიც, რომლებიც გადმოგვცემს ავტორის განცდას, რასაც გაუცხოება ჰქვია. შეიძლება, ადამიანი დადიოდეს ხალხით აღსავსე ქუჩაში და ისეთი გრძობა ეუფლებოდეს, თითქოს უცხო ადგილას იმყოფებოდეს.

ამ შეგრძნებას პოეტი ასე გამოხატავს:

„ცას ახლა თითქოს ეშმაკი აზის
და მე კი მკვდარი ხეს მიმაცუდეს“.

ეს შეგრძნება „ზამთარში გარდაცვალებაზე მძიმეა“ და ის ამბობს:

„მე ჩამომკიდეს ცაზე კაუჭით
და სულში მწარე ტკივილი
სუსხობს“.

ხანდახან პოეტს სიზმარში ელანდება მშობლიური ქალაქი სოხუმი, ამჟამად გადამწვარი ეზოს ჭა, საიდანაც მშობელი დედა წყალს ასმევს და რომლის შემდეგ გამოჯანმრთელებული და ახალი ენერგიით აღსავსე ილვიძებს.

სევდას და მწუხარებას ცვლის იმედი და ბრძოლის, ცვლილებების სურვილი. „მე ახლა მხოლოდ ქარების მჯერა!“ - აცხადებს პოეტი და საბრძოლო შემართებით ისევ და ისევ ერკინება წინააღმდეგობებს.

„მე ახლა მხოლოდ ბრძოლების მჯერა,
ბრძოლაში არის იმედი ხვალის“.

აღსანიშნავია, რომ პოეტი თავის კრებულში ეხება დღევანდელ კიდევ ერთ მტკივნეულ საკითხს, რასაც საქართველოდან ქართველების მასობრივი გადინება ჰქვია სოციალური სიდუხჭირის გამო. პოეტი ნალვლიანად ამბობს:

„შენ რომ ნახვალ, ის რომ წავა,
მე რა ვქნა აქ მარტო,
საქართველოს ხვალინდელ დღეს,
მის მომავალს ვდარდობ“.

რა ბედი ეწევა ქართულ ენას, თუ ქართველთა უმეტესობა დატოვებს საქართველოს და ცხრა მთის იქით გადაიხვეწება? ან ვინ დაფქვას ქართულ მამაპაპუსეულ ნისქვილში საფქვავს? ესაა უპასუხო კითხვები! სრულიად სამართლიანად მიიჩნევს პოეტი ამ რეალობას „საშიშ დროდ“, სადაც მხოლოდ „გამელოტებული ხეები“ დგანან ცახცახით ქარში და პოეტს გულწრფელად უკვირს, ამ უსახურ, უმოქმედო დროში როგორ რჩებიან მდუმარედ „ნისლში ჩაძირული“ ადამიანები.

„ალარც ყვირილი, ალარც მოთქმა,
ალარც სიმღერა!“

მხოლოდ გაჩერებული დროის შეგრძნება!

„დრო გაიყინა, არსად არ
მიდის!“

ბრძოლებსა და სიახლეს მოწყურებული პოეტისათვის მიუღებელია ერთფეროვნება და უმოქმედობა. პოეტი ამბობს:

„დაიწყო ახალი დღე,
მაგრამ გუშინდელის მსგავსი,
ცარიელ სივრცეს ვართმევ ხელს
და არაფერი მეტი!“

და ასეთ დროს თავისდაუნებურად აღმოხდება პოეტს დაფარული ნატერა:

„ალბათ, ოდესმე ინებებ
ისევ დავუბრუნდე სოხუმს“.

სწორედ, ეს რწმენის ნაპერკალი აძლიერებს პოეტს და აღავსებს იმ იმედით, რომ ოდესმე, მაგნოლიების ყვავილობის ჟამს, მისი მატარებელი დაუბრუნდება მშობლიურ ადგილს, სადაც ჩაეხუტება ხავსმოდებულ, მაგრამ ნაცნობ კლდეებს და შეაგებებს „ღამისფერ მზერას თავისას“, ამოიყვანს ჭიდან ჩავარდნილ მთვარეს.

პოეტურ კრებულში ასევე შესულია რამდენიმე ლამაზი მოთხრობა: „ცრემლიანი სხივი“, „სამი სიზმარი“, „პარალელი“. ჩვენი ღირიკული გმირი იწყებს ერთგვარ აღსარებას: „ქურდი და მამაძალი მე არ ვარ, მან რატომ და მაინც და მაინც მე ამომიჩიმა?... ამ ამოჩემებაში ღმერთსაც გულისხმობდა და ეშმასაც, ახლა მისთვის ორივეს ერთი სახე ჰქონდა“ და როგორც ვხედავთ, ასეთ დროს მისი თანამოაზრე მხოლოდ ზეციდან დაშვებული მთვარეა, „სხივთა კრიალოსანით მოთამაშე“.

სამყაროში არსებობს ერთსა და იმავე წერტილში პარალელი და ამას შესანიშნავად გადმოგვცემს ავტორი მოთხრობაში „პარალელი“, სადაც ამ სამყაროში ერთი ადამიანისათვის უმნიშვნელოვანესია მზესთან გამომშვიდობება, მაშინ როცა მეორისათვის უმთავრესია მატერიული დოვლათის რაც შეიძლება მალე მიღება.

და ბოლოს, მწერალ რევაზ კემულარია „უსათუთეს გრძობათა მეფე“, პოეტი, მეოცნებე, მებრძოლი, რომელსაც ეს ცხოვრება მხრებით აქვს ანეული, სადაც „სიმებდამწყდარი გიტარის სევდას ჰგავს დანისლული ახალი ამინდი“ - ელოდება თავისი სანუკვარი ნატერის ასრულებას. ესაა სოხუმში დაბრუნება! მანამდე კი არის ბრძოლა, ჭიდილი, ცვლილებები და როგორც თავად ამბობს: „ბრძოლაში არის იმედი ხვალის, გზიდან გადადით, ვისაც არ გჯერათ!“

დიახ, დადგება დრო მართლაც, როცა „ჩვენ დავუბრუნდებით სოხუმს“.

კონფერენციასა სინთეზის პრაქტიკაში

QUANTUM PROPERTIES OF WATER AND QUANTUM BIOMEDICINE

PAATA J. KERVALISHVILI

Euro Mediterranean Academy of Arts and Sciences, President.

INTRODUCTION: QUANTUM WATER

In 2016, scientists at the US Department of Energy's Oak Ridge National Laboratory created a new quantum state of water. They made their discovery by forcing water molecules between hexagonal beryl crystals[1]. The massive compression increased the pressure so much that the atoms of the water molecules became uneven, and from that moment on, water no longer obeys a number of physical laws. . (Fig.1). Molecules were able to pass through barriers at the atomic level, and their behavior is now explained by quantum mechanics and is called "tunneling". (Fig.2). This behavior occurs only when matter is in a quantum state. Scientists believe that water often goes into quantum mode, passing through very narrow cavities in rocks, soil, or even through the cell walls of living beings




Fig.1. In a paper published in *Physical Review Letters*, researchers at the Department of Energy's Oak Ridge National Laboratory describe a new tunneling state of water molecules confined in hexagonal ultra-small channels – 5 Angstrom across – of the mineral beryl. An Angstrom is 1/10-billionth of a meter, and individual atoms are typically about 1 Angstrom in diameter [2].

VIBRATING CURRENTS IN A WATER

Ordinary water has many unusual properties that scientists have yet to explain. Although most liquids harden when cooled, water does not do so. Further cooling, it re-expands, illuminates and rises to the surface – thus freezing the surface of the pools first [3]. Because of it water has an unusually high surface tension, which allows some insects to walk on its surface. Water molecule contains two hydrogen atoms and one oxygen atom – HOH. (Fig.3).




Fig.2. The excitation of a spin liquid on a honeycomb lattice with neutrons. Image credit: Genevieve Martin, Oak Ridge National Laboratory




Fig.3: Somendra Nath Chakraborty, Niall J. English. *Vibrational, energetic-dynamical and dissociation properties of water clusters in static electric fields: Non-equilibrium molecular-dynamics insights. Chemical Physics Letters, Volume 710, 16 October 2018, Pages 207-214*

VIBRATING CURRENTS IN A WATER

Water molecules are held together by the hydrogen bonds between the positively charged single molecule hydrogen and the negatively charged oxygen molecules of adjacent molecules. The very small size of the water molecules and the high velocity of hydrogen bond motion prevent such observations. Researchers at the National Accelerator Laboratory SLAC, Stanford University and the University of Stockholm created

water jets 100 nm thick and forced them to vibrate with an infrared laser beam (Fig.4). They then proposed short high energy electron pulses to the water molecules in the MEV-UED. They added snapshots of the atomic structure of how water molecules react to light in a video [4]. Observations of the three molecules show that when they begin to vibrate, the hydrogen atoms repel a new force that attracts oxygen atoms from nearby water molecules and then expands the space between the molecules. It is possible to use this method to study the quantum nature of hydrogen species and their significance for the hitherto unexplored properties of water, which are important for many chemical and biological processes.




Fig.4. Setup for observation of hydroxyl-hydronium pair. To observe the short-lived hydroxyl-hydronium pair, the researchers created 100-nanometer-thick jets of liquid water and ionized the water molecules with intense laser light (red beam). Then they probed the molecules with short pulses of high-energy electrons (blue beam) from MeV-UED to generate high-resolution snapshots of the ionization process. This allowed them to measure bonds between oxygen atoms as well as bonds between oxygen (red circles) and hydrogen (white circles) atoms at the same time, thus capturing this important but unstable complex (blue and green) [4].

In 2013, for the first time a team of physicists from Austria observed Quantum 15 amino acid chain interaction. Their research laid the foundation for the study of quantum biological molecules, enzymes, DNA, and perhaps even the simplest organisms, such as viruses [5] (Fig.5). Evidence of the orderliness of intracellular water and the special state of water in the cytoplasm of cells are shown the by the process of dynamic changes in the state of water near cell membranes and its effect on conformational transformations of polypeptides as nonlinear effects. Those effects in water associated with the electrical properties of the associated water phase in bulk water and changes of Regulatory functions of reactive oxygen species in blood and water model systems as well as experimental confirmation of oscillators.




Figure 5: Quasi-chemical organization of the excess chemical potential. The inner-shell identifies the region enclosing the solute for which the solute-solvent binding energy distribution $P(\epsilon/\phi)$ is accurately Gaussian. It approximately corresponds to the traditional first hydration shell of the solute. The free energy to create the cavity to accommodate the solute gives the packing (hydrophobic) contribution. The chemistry contribution is zero for the solvent-excluded envelope. The chemistry plus long-range parts determine the hydrophilic contributions. Reprinted from Ref. 28, copyright (2020) American Chemical Society

Pulse sequences in water, which generate multiple- and zero-quantum coherence and suppress the detection of single-quantum coherence have been used to greatly reduce the intensity of the water signal in NMR images. In the experiment, image signals having multiple-quantum behavior add constructively while single-quantum signals, such as the signal arising from water, are canceled. Since the generation of multiple-quantum coherence is only a function of spin-spin coupling, water suppression by this technique is independent of chemical shift. Consequently, suppression of the water resonance in a ^1H NMR image can be accomplished in an inhomogeneous magnetic field provided that the excitation profile of the rf pulses is equal for all spins. Recently, two-dimensional NMR experiments have been performed, which were likely to show that a coupling between otherwise uncoupled or equivalent spins was observable, yielding signals originating from multiple-spin multiple-quantum operators in the density matrix [6]. Such results could be interpreted as a consequence of the radiation damping phenomenon (Fig.6).




Figure 6. Diagram illustrating double helix structure of DNA molecule with complementary base pairs on the 2 strands, showing the hydrogen bonds between the bases and the changes that take place in tautomerization of the bases which may result in anomalous base pairing which may be the basis of spontaneous mutation.

Bey Hing Goh1, Eng Siang Tong, Priya Pusparajah. Quantum Biology: Does quantum physics hold the key to revolutionizing medicine? HH Publisher. Perspective article, 2024.

Based on the existing literature, it is evident that nature has been able to evolve mechanisms and structures by which to harness quantum mechanics to aid processes necessary to life in ways that were highly unexpected based on the initial findings of quantum physics where these behaviours were thought to only occur under very tightly controlled environmental conditions. From what has been discovered, it seems likely that we have only just begun to unearth the tip of the iceberg in terms of how quantum phenomena play a role in living organisms

- perhaps as more sophisticated equipment and testing become available we may be better placed to explore these further.

It seems clear that there are many scenarios where quantum mechanics are at work in the human body, though their exact nature remains to be fully defined. There is also significant debate about whether the phenomena that have been observed truly have a functional purpose though it seems more and more likely that they do. This then suggests that there are a huge number of potential applications of quantum biology in science and in medicine - in terms of diagnosis as well as treatment of a variety of human maladies.

While there is clearly much more work to be done before we are fully able to understand and apply the principles quantum physics in a practical way in clinical medicine, the fact that it is clearly involved in so many key processes for life suggests that this field holds significant clues to unlocking many mysteries of biology.

QUANTUM PHYSICS OF WATER

Quantum physics of water generally is based on the study of critical phenomena conditioned by phase transitions in the organizing water phase, and quantum phenomena connected with the macroscopic charge ordering and exchange processes in the open thermodynamic system. A liquid-phase state of water is a heterogenic state characterized by the domain organization by metastable polymorphous structures which is associative water phase represented by polymorphous ices controlling by nano size hollowness and electrostatic charges [7].

As a science of water quantum states, quantum physics of water is very important for adequate understanding of processes directly influencing global earth changes, including climate changes which is strongly depending of the quantum physical processes taking place in water molecules which after integration decrease the electrochemical potential of lithosphere through degradation of electrophysical state of water molecules.

The degree to which water is structured is highly depending of nuclear quantum effects, which are in active correlation with heterogeneity of the hydrogen bond networks of water.

Pulse sequences which generate multiple-and zero-quantum coherence and suppress the detection of single-quantum coherence have been used to greatly reduce the intensity of the water signal in NMR images. In the experiment, image signals having multiple-quantum behavior add constructively while single-quantum signals, such as the signal arising from water, are canceled. Since the generation of multiple-quantum coherence is only a function of spin-spin coupling, water suppression by this technique is independent of chemical shift. Consequently, suppression of the water resonance in a 1H NMR image can be accomplished in an inhomogeneous magnetic field provided that the excitation profile of the rf pulses is equal for all spins. Furthermore, variations in the T1 and T2 of coupled and uncoupled spins do not affect the efficiency of the multiple-quantum filter.

The very good example is investigation of lactate properties by Nuclear Magnetic Resonance method. Lactate is an important metabolite in normal and malignant tissues. However, it has been difficult to clinically detect the lactate methyl resonance because it is obscured by lipid resonances. The selective homonuclear multiple quantum coherence transfer (SelMQC) technique offers a method for distinguishing lipid and lactate resonances. This study was supported by implementation of 3D SelMQC version with Hadamard slice selection and 2D phase encoding (HDMD-SelMQC-CSI) on a conventional clinical MR scanner (Fig.7).

Hadamard slice selection is explained and demonstrated in vivo. This is followed by 1cm3 resolution lactate imaging with detection to 5 mM concentration in 20 minutes on a 3T clinical scanner. An analysis of quantum selection gradient duration and amplitude effects on lactate and lipid signal is presented. To demonstrate clinical feasibility, a 5 minute lactate scan of a patient with a non-Hodgkin's lymphoma in the superficial thigh is reported. The elevated lactate signal coincides with the T2-weighted image of this tumor. As a test of SelMQC sensitivity, a thigh tourniquet was applied to a normal volunteer and an increase in lactate was detected immediately after tourniquet flow constriction.

Eric A. Mellon, Seung-Cheol Lee, Stephen Pickup, Sungeon Kim, Steven C. Goldstein, Thomas F. Floyd, Harish Poptani, E. James Delikatny, Ravinder Reddy, and Jerry D. Glickson. Detection of Lactate with a Hadamard Slice Selected, Selective Multiple Quantum Coherence, Chemical Shift Imaging Sequence (HDMD-SelMQC-CSI) on a clinical MRI scanner: Application to Tumors and Muscle Ischemia. PMC 2011 Jan 14. Published

Magn Reson Med. 2009 Dec; 62(6): 1404–1413.

doi: 10.1002/mrm.22141




Figure 7 . Eight hyperbolic secants used for Hadamard slice selection

To generate each image, one of the eight frequency modulated HS inversion pulses described in Table 1 was transmitted at the beginning of each TR before a spoiled gradient echo sequence. The HS inversion pulse was applied in this case with a gradient in the readout axis of the GRE sequence for visualization of the HS pulse. Displayed here is a scanner screenshot capturing all eight HS pulse results with phase reconstruction. Pulses are ordered from left to right, top to bottom (#1 top left, #8 bottom center).

QUANTUM PROPERTIES OF WATER

Electrostatic charges (together with Van der Waals forces) in the associative water phase represent quantum de-localized state and can engage in macroscopic quantum interactions. Biomolecular system is another example of macroscopic quantum system: each cell interacts not only with each other but with similar in properties structures in the environment. It is due to the fact of nonlocal interconnection that health and diseases significantly depend on the electro physical condition of the environment. This reaction is sustained by exchange interactions of quantum oscillators, which yield to electron's charge transport in form of self-similar electron wave packets. For those processes to take place in living organisms, all the cellular structures have to be in the electro physical disequilibrium, i.e. contain excess negative charge

Quantum approach to the water offers a chance to arrive at answers to pressing challenges of modern natural science, from the lowest levels of water cooperative behavior connected with the formation of water metastable phase, to quantum phenomena of non-local electron transport and regulation of cellular microbiological processes, and to global manifestations of water self-organization.

Methodology employed by quantum water contributes to classical ideas of cell biophysics, especially in terms of the regulatory role of water in cellular metabolic processes and exchange electron interactions in an open system. While classical biophysics views cellular metabolism in terms of biochemical processes, quantum biophysics is based on new understanding and acknowledgement of the regulatory role of water in cellular metabolism. This approach opens a novel view on the current problems in regards to, not only cellular metabolism but the state of biosphere including human health subjected to a destructive technogenic impact [8].

Water as a coherent macroscopic system, so called "coherent water phase" initiated research studies on quantum properties of

the associative water phase stabilized by nano scale hollowness and de-localized electrostatic charges. The terms of quantum coherence and quantum entanglement are playing a central role not only in quantum physics and information but also in biological systems (Fig.8). There are a fundamental processes of macroscopic quantum nature. Like other aspects of quantum science, the phenomenon of entanglement reveals itself at very tiny, subatomic scales [9]. When two particles, become entangled, they remain connected even when separated by distances. Generally entanglement arises from the connection between particles and each particle will be in a state of superposition, or both "spin up" and "spin down" at the same time. A common misconception about entanglement is that the particles are communicating with each other faster than the speed of light, which would go against Einstein's special theory of relativity.

Following this the quantum properties of water are based on the phenomenon when non-equilibrium water with unstable anion-radical forms of active oxygen as electron carriers with structural and spin-oriented organization.



Fig.8. This illustration shows the connectedness of two entangled particles. In early 2023, the first demonstration of entanglement between non-identical particles, a positive and negative pion, not only exists, but can be measured, leveraged and utilized to probe the internal structure of atomic nuclei. (Credit: Augusto / Adobe Stock)

These fundamental concepts form the methodological cornerstone for different water activation technology, founded on the principles of naturally occurring processes of electro-physically active water state formation [10,11].

The measurements of water quantum states are based on dynamic processes in the water electron subsystem in a state of exchange interaction with the natural background of electrons' Bose-condensate, as well as changes in water thermodynamic, electrochemical and structural-physical characteristics.

To evaluate the state of physically altered water that has undergone activation by physical methods it is possible to use a complex of structural-energetic values which indicate drinking standards of water based on its bioenergetic activity. All values are divided into principal and additional (confirming presence of significant physico-chemical, thermodynamic and structural changes in water after processing). The principal values include:

- Redox potential (an electrochemical value indicating electron saturated water),
